UNIVERSITY OF OXFORD

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA



ოქსფორდის უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია

16 ივლისი, 2018 წელი

თბილისი

Oxford University and SRNSFG Joint International Conference on Georgian Studies

July 16, 2018

Tbilisi

www.rustaveli.org.ge

#SRNSFG-OxfordUni.GSPConf

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

ბროშურა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ, ოქსფორდის უნივერსიტეტთან საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების ერთობლივი კვლევითი პროგრამის ფარგლებში.

ბროშურაში წარმოდგენილია 2018 წლის 16 ივლისის კონფერენციის მომხსენებელთა თეზისები.

საკონფერენციო პროგრამაში შესულია ფონდის მიერ დაფინანსებული სხვადასხვა საგრანტო პროგრამის (UO GSP - ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების ერთობლივი პროგრამა, FR - ფუნდამენტური კვლევების საგრანტო პროგრამა, HE - საქართველოს მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის კვლევის საგრანტო პროგრამა, YS - ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტები) გამარჯვებულთა მოხსენებები.

თეზისებში მოცემულია მეცნიერთა ხედვა და შესაძლოა არ ასახავდეს ფონდის მოსაზრებას.

© სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, 2018

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი
SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE FOUNDATION OF GEORGIA

This brochure has been prepared by Legal Entity of Public Law – Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) as part of the SRNSFG - Oxford University Georgian Studies Programme.

The brochure includes theses of the joint international conference participants. It also contains abstracts of SRNSFG grant holders (from various programmes: UO GSP – "Georgian Studies Research programme" of the University of Oxford and SRNSFG, FR- call for Fundamental research, HE- supporting Research of Georgia's cultural and material Heritage abroad, YS – Research Grants for Young Scientists).

Responsibility for the information and views expressed in the brochure lies entirely with the authors.

© LEPL-Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

კონფერენციის პროგრამა

09:00 - 09:30	**რეგისტრაცია**
09:30 - 09:50	**მისასალმებელი სიტყვები:** **მარიამ ჯაში** - საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **პროფესორი მიხეილ ჩხენკელი** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **მანანა მიქაბერიძე** შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი **პროფესორი დენ ჰეილი** რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის შემსწავლელი მეცნიერებების ცენტრის (REES) ხელმძღვანელი, ქვეყანათმცოდნეობის ინტერდისციპლინური კვლევების სკოლა, ოქსფორდის უნივერსიტეტი **ასოცირებული პროფესორი ქრისტოფერ გერი** წმ. ენტონის კოლეჯის დეკანი, ქვეყანათმცოდნეობის ინტერდისციპლინური კვლევების სკოლა, ოქსფორდის უნივერსიტეტი
სესია I	**ჰუმანიტარული მეცნიერებები** (არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ისტორია) მოდერატორი - **პროფესორი ედმუნდ ჰერციგი ,** ოქსფორდის უნივერსიტეტი
09:50 - 10:05	**ირინე დემეტრაძე-რენცი** - ასისტენტ-პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - *„ურბანული განვითარება რომაულ იბერიაში"*
10:05 - 10:20	**მარიამ ნანობაშვილი** - ასისტენტ-პროფესორი , ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - *„XVI საუკუნის იტალიელი პილიგრიმის, ბარბონე მოროზინის, ცნობები ქართველთა შესახებ პალესტინაში"*
10:20 - 10:35	**ვახტანგ ლიჩელი** - პროფესორი , ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - *„ქართული არქეოლოგიური მისია კვიპროსზე (2017 წელი)"*
10:35 - 10:50	**ზაზა სხირტლაძე** - პროფესორი , ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - *„ ქართული კულტურული მემკვიდრეობა ანისში: ახალი მონაცემები"*
10:50 - 11:10	**კითხვა-პასუხი**
11:10 - 11:25	**ყავით შესვენება**
სესია II	**ჰუმანიტარული მეცნიერებები** (არქივები, ენა და ლიტერატურა) მოდერატორი - **ჯილიან ევისონი,** ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლიანის ბიბლიოთეკის ორიენტალური განყოფილების ხელმძღვანელი
11:25 - 11:40	**ბექა კობახიძე** - ასოცირებული პროფესორი, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი - *„ბრიტანეთის" კავკასია (1918-1920)*
11:40 - 11:55	**ნინო დობორჯგინიძე** - პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - *„წარსული მომავლის ენაზე: ციფრული ჰუმანიტარიის პროექტები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში"*
11:55 - 12:10	**ირმა ყარაულაშვილი** - ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - *„ნარატიული წყაროების ძირითადი მახასიათებლების ადაპტაცია და აპროპრიაცია და იდენტობის ფორმირება გვიან ანტიკურ და შუა საუკუნეების საქართველოში"*
12:10 - 12:25	**ნესტან ჩხიკვაძე** - მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, კ. კეკელიძის

	სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი - *„ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკის უორდროპების ქართული კოლექცია"*
12:25 - 12:40	**კითხვა-პასუხი**
12:40- 13:20	**მსუბუქი სადილი**
სესია III	**სოციალური მეცნიერებები**
	მოდერატორი - **პროფესორი ნილ მაკფარლეინი,** ოქსფორდის უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკოორდინაციო საბჭოს წევრი
13:20 - 13:35	**კონსტანტინე ერისთავი** - ასისტენტ-პროფესორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი - *„საქართველოში ადამიანის უფლებების შელახვის მიზეზები: შემთხვევითობა თუ აუცილებლობა?"*
13:35 - 13:50	**ნუცა ბათიაშვილი** - ასოცირებული პროფესორი, თავისუფალი უნივერსიტეტი - *„ ჩვენს შორის უცხო: გაყოფილი ერი და პოლიტიკური წარმოსახვა"*
13:50 - 14:05	**ანა ქიტიაშვილი** - ასოცირებული პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - *"მე ღარიბი ვარ " - სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების გამოცდილება საქართველოში"*
14:05 - 14:20	**ლია წულაძე** - ასოცირებული პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - *„SOS თბილისი: გარემოსდაცვითი სამოქალაქო აქტივიზმის ძირითადი გამოწვევა საქართველოში"*
14:20 - 14:35	**კითხვა-პასუხი**
14:35 - 14:50	**ყავით შესვენება**
14:50 - 15:30	**სესია - საპოსტერო გამოფენა**
სესია IV	**ინტერდისციპლინური კვლევები**
	მოდერატორი - **პროფესორი მარინე ჩიტაშვილი** , ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
15:30 - 15:45	**ქეთევან გურჩიანი** - ასოცირებული პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი - *„საქართველო როგორც შუალედური სივრცე"*
15:45 - 16:00	**ბუბა კუდავა** - პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი - *„ტაო-კლარჯეთი - ისტორიისა და კულტურის ძეგლები (გეომონაცემთა ბაზა და კატალოგი)"*
16:00 - 16:15	**თეიმურაზ ხუციშვილი** - მეცნიერების დეპარტამენტის დირექტორი, კავკასიის უნივერსიტეტი - *„ტაო-კლარჯეთის 2014 – 2017 წლების სამეცნიერო ექსპედიციების მნიშვნელოვანი მიკვლევები"*
16:15 - 16:30	**ლილი ხეჩუაშვილი** - ასოცირებული პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - *„მასტერ და ალტერნატიული ნარატივები: ქართული ვერსია"*
16:30 - 16:45	**კითხვა-პასუხი**
16:45 - 17:00	**შეჯამება და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები**
	მოდერატორები: **ნინო გაჩეჩილაძე ,** ასოცირებული პროფესორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე; *ფონდის და ოქსფორდის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი პროგრამის კოორდინატორი* **მანანა მიქაბერიძე,** შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი

Conference Programme

09:00 - 09:30	**Registration**
09:30 - 09:50	**Welcome addresses** **Professor Mikheil Chkhenkeli** Minister of Education and Science of Georgia **Ms. Mariam Jashi** - Chair of the Education, Science and Culture Committee, Parliament of Georgia **Ms. Manana Mikaberidze** Director General, Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia **Professor Dan Healy** Head of the Russian and East European Studies (REES), School of Interdisciplinary Area Studies, the University of Oxford **Professor Christopher J Gerry** Dean of St Antony's College, School of Interdisciplinary Area Studies, the University of Oxford
Session I	**Humanities** (Archeology, Art, History) Moderated by **Professor Edmund Herzig ,** the University of Oxford
	Dr. Irine Demetradze-Renz - Assistant Professor, Ilia State University - "*Urban Developments in Roman Iberia*" **Dr. Mariam Nanobashvili** -Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University -" *Accounts of the 16th Century Italian Pilgrim Barbone Morosini about the Georgians in Palestine*" **Dr. Vakhtang Licheli** - Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University - "*Archaeological Mission of Georgia in Cyprus (2017)*" **Dr. Zaza Skhirtladze -** Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University - "*Georgian Cultural Heritage in Ani: New evidences*" **Q&A**
11:10- 11:25	**Coffee Break**
Session II	**Humanities** (Archives, Language and Literature) Moderated by **Dr. Gillian Evison ,** the University of Oxford **,** Head of Bodleian Libraries' Oriental Section
11:25 - 11:40	**Dr. Beka Kobakhidze** - Associate Professor, Georgian Institute of Public Affairs - "*The "British" Caucasus of 1918-1920*"
11:40 - 11:55	**Dr. Nino Doborjginidze** - Professor, Ilia State University - " *The Past on the Language of the Future: Digital Humanities Projects at Ilia State University*"
11:55 - 12:10	**Dr. Irma Karaulashvili** - Associate Professor, Ilia State University - "*Adaptation and Appropriation of Narrative Topoi and Identity Formation in Late Antique and Medieval Georgia*"
12:10 - 12:25	**Dr. Nestan Chkhikvadze** - Chief researcher, K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts - " *Georgian Collection of Wardrop in Oxford Bodleian Library (Perspectives of Kartvelological Studies)*"
12:25 - 12:40	Q&A

12:40- 13:20	**Lunch**
Session III	**Social Sciences** Moderated by **Professor Neil MacFarlane ,** the University of Oxford, Member of International Policy Board of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia
13:20 - 13:35	**Dr. Konstantine Eristavi ,** Assistant Professor, Grigol Robakidze University - *"Questioning the Contingency of Human Rights Violations in Georgia"*
13:35 - 13:50	**Dr. Nutsa Batiashvili ,** Associate Professor, Free University of Tbilisi - ***"****Strangers Among Us: Divided Nation and Political Imagination"*
13:50 - 14:05	**Dr. Anna Kitiashvili** - Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University - *«I am poor» - the experience of children living in poverty in Georgia*
14:05 - 14:20	**Dr. Lia Tsuladze** - Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University - *"SOS Tbilisi: A Top-down Challenge to Environmental Civic Activism in Georgia"*
14:20 - 14:35	***Q&A***
14:35 - 14:50	**Coffee Break**
14:50 -15:30	**Poster Session**
Session IV	**Interdisciplinary Research** Moderated by Professor **Marine Chitashvili,** Ivane Javakhishvili Tbilisi State University
15:30 - 15:45	**Dr. Ketevan Gurchiani** - Associate Professor, Ilia State University - "*Georgia in-between: religion and everyday hybridity"*
15:45 - 16:00	**Dr. Buba Kudava** - Professor, Caucasus University - " *Historical and Cultural Monuments of Tao-Klarjeti (The geo-data base and the catalogue)"*
16:00 - 16:15	**Dr. Teimuraz Khutsishvili** - Director of Science Department, Caucasus University - *"Important Findings of 2014-2017 Scientific Expedition in Tao-Klarjeti"*
16:15 - 16:30	**Dr. Lili Khechuashvili** - Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University - *"Master and Alternative Master Narratives: Georgian Version"*
16:30 - 16:45	**Q&A**
16:45 - 17:00	**Summary and perspectives of future cooperation**
	Moderated by - **Dr. Nino Gachechiladze,** Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Deputy Director General of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia
	Ms. Manana Mikaberidze - Director General, Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

მოწვეული სტუმრებისა და მონაწილეთა ავტობიოგრაფია და მოხსენებების თეზისები

ედმუნდ ჰერციგი

ედმუნდ ჰერციგი არის პროფესორი სპარსულ სწავლებებში, ოქსფორდის უნივერსიტეტის ვოდემის კოლეჯის მკვლევარი. იგი ხელმძღვანელობს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროგრამას აზერბაიჯანისა და კავკასიის ენებისა და კულტურის კვლევების მიმართულებით. პროგრამა გულისხმობს არქეოლოგიურ კვლევებს და გასცემს სტიპენდიებს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის. პროფესორი ჰერციგის კვლევის ძირითადი მიმართულებებია თანამედროვე ისტორია, კერძოდ, ირანის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის თანამედროვე სახელმწიფოებრიობა, წარსულის კვლევები (ისტორია, ლიტერატურა, კულტურა) და სხვ. მისი ნაშრომები მოიცავს ირანისა და მიმდებარე რეგიონების, მათ შორის კავკასიის, ცენტრალური აზიისა და ავღანეთის თანამედროვე და პრე-თანამედროვე ეპოქების ისტორიას. პროფესორი ჰერციგის კვლევის ძირითადი საკითხებია თანამედროვე კომერციული საქმიანობა და პრაქტიკა, კანონმდებლობა, ინტერკომუნალური ურთიერთობები, კულტურული ცვლილებები და საფავიდების ისტორიის სხვა პრობლემური საკითხები.

Edmund Herzig

Edmund Herzig is Masoumeh and Fereydoon Soudavar Professor of Persian Studies; Fellow of Wadham College. He leaded the Oxford Nizami Ganjavi Programme for the study of the languages and cultures of Azerbaijan and the Caucasus, a programme which supports archaeological research on Barda, research workshops, scholarships for masters and doctoral students. In recent years, he has become increasingly interested in contemporary history, particularly the uses of the past (history, literature and culture) in contemporary state and nation building projects in contemporary Iran, the Caucasus and Central Asia. His works include the premodern and early modern history of Iran and neighbouring regions, including the Caucasus, Central Asia and Afghanistan, concentrating on early modern trade, commercial practice and law, on wider questions relating to early modern intercommunal relations and cultural exchange, and on general problems in Safavid history.

ჯილიან ევისონი

დოქტორი ჯილიან ევისონი ასწავლიდა თეოლოგიას ოქსფორდის წმ. ჯონის კოლეჯში. ვოლფსონის კოლეჯში მოიპოვა მაგისტრის ხარისხი ინდურ რელიგიაში. ფილოსოფიაში დოქტორის ხარისხის მოპოვებამდე, მუშაობდა ვოლფსონის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რის შემდეგაც შეუდგა ინდური რელიგიის ძირეულ შესწავლას. მოგვიანებით მან დაიწყო მუშაობა ოქსფორდის ბოდლიანის ბიბლიოთეკაში, სადაც ხელმძღვანელობდა ინდური ინსტიტუტის ბიბლიოთეკის აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილებას.

იგი ასევე მოღვაწეობს სამხრეთ აზიის ბიბლიოთეკართა გაერთიანების კომიტეტებში და მისი ინტერესის სფეროა ახალი ტექნოლოგიების გამოყენება სამხრეთ აზიური კოლექციების წვდომაზე ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში.

Gillian Evison

Gillian Evison read theology at St. John's College, Oxford before moving to Wolfson College to complete the M. Phil in Classical Indian Religion. She worked part time in Wolfson College library, whilst finishing her D.Phil., and developed an interest in its collection of books on Indian religions. She started work at the Indian Institute Library and as the Head of Oriental Section, at the Bodleian Library at Oxford; her responsibilities include curatorial activities within the institution.

Gillian also serves at a number of national committees devoted to South Asian librarianship and her special interests include the use of new technologies to open up access to South Asian collections in libraries and museums.

ნილ მაკფარლეინი

პროფესორი ნილ მაკფარლეინი არის რუსეთის საგარეო პოლიტიკისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის რეგიონული ცვლილებების სპეციალისტი. მისი აკადემიური ინტერესის სფეროს წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების როლი სამოქალაქო კონფლიქტების მოგვარების საკითხში და პოსტ-საბჭოთა ქვეყნების პოლიტ - ეკონომიკური ცვლილება.

1996 წელს პროფესორი მაკფარლეინი გახდა საერთაშორისო ურთიერთობების ლესტერ ბ. პირსონის პროფესორი ოქსფორდში უნივერსიტეტი. 2005-2010 წლებში იყო საერთა-შორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი. 2008-2010 წლებში კი - სოციალური მეცნიერებების განყოფილების აღმასრულებელი ხელმძღვანელი. იგი ამჟამად ოქსფორდის უნივერსიტეტის საბჭოს წევრია და ემსახურება უნივერსიტეტის რამდენიმე კომიტეტს. 2010-2013 წლებში პროფესორი მაკფარლეინი გახლდათ მოწვეული პროფესორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრში (CSS). პროფესორი მაკფარლეინის ინტერესის სფეროს წარმოადგენს ყოფილი საბჭო-თა კავშირის ქვეყნების უმაღლესი განათლების სფეროს რეფორმის თემატიკა. 2015 წლიდან არის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკოორდინაციო საბჭოს წევრი. მან ჩაუყარა საფუძველი ფონდისა და ოქსფორდის ურთიერთანამშრომლობას და ერთობლივი კვლევითი პროგრამის დანერგვას ოქსფორდის უნივერსიტეტში.

Neil Macfarlane

Professor MacFarlane is specialized in Russian foreign policy and the regional dynamics of the former Soviet Union, with particular reference to tiers of southern regions. He is also interested in the impact of international organizations in the management and resolution of civil conflicts and in the political and economic transitions of former communist states.

He moved to Oxford in 1996 as the first Lester B. Pearson Professor of International Relations. From 2005 to 2010 he was the Head of the Department of Politics and International Relations. From 2008 to 2010 he was the Deputy Head of the Social Sciences Division at Oxford. Currently Mr. MacFarlane is a member of the Council of the University and serves on numerous University committees. He was a visiting professor at the Centre for Social Sciences (Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia) from 2010 to 2013 and has a strong interest in higher education reform in the former Soviet Union countries. Since 2015, Prof. MacFarlane has been the member of the SRNSFG Internaitonal Policy Board. Prof. MacFarlane is one of the initiators and supporters of joint SRNSFG- University of Oxford "Georgian Studies Programme".

მარინე ჩიტაშვილი

1980 წელს წარჩინებით დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტი ფსიქოლოგიის სპეციალობით.

1980-1984 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტი. 1985 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „განწყობის მოქმედება ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტში". 1999 წელს - სადოქტორო დისერტაცია „რელიგიური ორიენტაციის ტიპი, პიროვნული მახასიათებლები და სოციალური ღირებულებები ქართველ მართლმადიდებლებთან და არამორწმუნეებთან".

1980-1990 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ჯერ ლაბორანტად [1980-1983] და მერე მეცნიერ-თანამშრომლად [უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე 1983-1985, უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 1988-1990, 1996-1998). 1992-1995 წლებში იყო საქართველოს სახელმწიფო მეთაურის აპარატში მრჩეველი ორგანიზაციული განვითარებისა და სოციალური კვლევების საკითხებში.

1990 წლიდან დღემდე მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტში. 1990-1995 წლებში მარინე ჩიტაშვილი იყო თსუ-ის რელიგიის პრობლემების შემსწავლელი კვლევი-თი ცენტრის რელიგიის ფსიქოლოგიის ჯგუფის ხელმძღვანელი, 1995-1999 წლებში - ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი. 1999 წლის სექტემბრიდან დღემდე ფსიქოლოგიის პროფესორია. 2003-2005 წლებში იგი იყო ზოგადი ფსიქოლოგიის კათედრის გამგე, 2005 წლის მარტი-ივლისი - თსუ-ის აკადემიური დეპარტამენტის დირექტორი. 2013 წლის სექტემბრიდან 2014 სექტემბრის ჩათვლით მერინე ჩიტაშვილი თსუ-ის რექტორის მოადგილეა სტრატეგიული განვითარების დარგში. 2014-2017 წწ. იგი იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი. მარინე ჩიტაშვილმა ჩაუყარა საფუძველი ფონდისა და ოქსფორდის ურთიერთანამშრომლობას.

მარინე ჩიტაშვილს გამოქვეყნებული აქვს 92 პუბლიკაცია. აქედან - 2 მონოგრაფია და 30 სამეცნიერო სტატია.

მარინე ჩიტაშვილი 1995 წელს იყო ლუნდის უნივერსიტეტის, 2001, 2003 წელს - ზაარლანდის უნივერსიტეტის მიწვეული მკვლევარი, 2006 წელს კი - მიუნჰენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტის, „DAAD"-ის მეცნიერ-მკვლევარი, 2007 წელს - ფულბრაიტის მკველევარი სტენფორდის უნივერსიტეტში, 2011 წლიდან არის დიდი ბრიტანეთის კემბრიჯის უნივერსიტეტის, ვოლფსონის კოლეჯის მუდმივი მიწვეული მკვლევარი.

2000-2003 წლებში მარინე ჩიტაშვილი იყო სოციალური მეცნიერებების მხარდაჭერის პროგრამის დირექტორი ფონდში „ღია საზოგადოება-საქართველო", 2003-2013 წლებში - სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის დირექტორი. არის 7 საერთაშორისო და 1 ადგილობრივი გრანტის ხელმძღვანელი. 2013–2014 წლებში იყო საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს თავმჯდომარე. მარინე ჩიტაშვილი არის საერთაშორისო პოლიტიკური ფსიქოლოგიის საზოგადოების წევრი.

Marine Chitashvili

Marine Chitashvili graduated from Tbilisi State University, the Faculty of Philosophy and Psychology, specialization Psychology In 1980.

In 1980-84 she was post-graduate (aspirantura) student at Dimitri Uznadze Institute of Psychology of Georgian Academy of Sciences. In 1985 she defended her Candidate of Sciences [PhD] thesis "Influence of Set in psychological experiment". In 1999 defended her Doctoral thesis [Habilitation] "Type of religious orientation, personal characters and social values in Georgian Orthodox believers and non-believers".

In 1980-1990 she worked as a Laboratory Staff (1980-1983), then as a Junior Researcher (1983-1985) and after that as a Senior Research (1988-1990, 1996-1998) at Institute of Psychology Georgian Academy of Science.
1992-1995 Adviser in organizational development and social studies, at the Head of State Office of Georgia.
Since 1990 till present she works at TSU. 1990-95 Head of Psychology of Religion Research Group at TSU Center for Religious Studies, 1995-99 academic staff and since 1999 September, Professor of Psychology at TSU. 2003-05 Head of General Psychology Department; in 2005 March-July Head of Academic Department of TSU. 2013-2014 Deputy Rector for Strategic Development at TSU. In 2014-2017 Marine Chitashvili held position of Director General at Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Prof. Chitashvili is one of the initiators and supporters of joint SRNSFG- University of Oxford "Georgian Studies Programme".

Marine Chitashvili has published 92 works: 2 monographs and 30 scientific articles. Dr. Chitashvili was Fulbright scholar at Stanford University [2007]; DAAD research fellow at Ludwig Maximilian University Munich [2006]; Visiting exchange scholar at Saarland University [2003, 2001]; The Swedish Institute fellow Guest Researcher at Lund University [1995]. Since 2011 Prof. Chitashvili is Life Visiting Fellow at Wolfson College, University of Cambridge.

In 2000-2003 she was Director of Social Science Support Program, «Open Society - Georgia», in 2003-13 she was the director of Center for Social Sciences. She is director of one local and seven international grants. 2013-2014 Chair of Educational Programs Accreditation Board at the National Center for Educational Quality Enhancement. Marine Chitashvili is a member of International Society of Political Psychology.

დენ ჰეილი

პროფესორი დენ ჰეილი 2013 წლიდან მოღვაწეობს ოქსფორდის უნივერსიტეტში წმ. ენტონის კოლეჯში (თანამედროვე რუსული ისტორიის პროფესორი). 2011-2013 წლებში ასწავლიდა რედინგის უნივერსიტეტში, ხოლო 2000-2011 წლებში - სვონსის უნივერსიტეტში. პროფესორმა დენ ჰეილიმ მიიღო ბაკალავრის ხარისხი ტორონტოს უნივერსიტეტში 1981 წელს, ხოლო დოქტორის ხარისხი, ამავე უნივერსიტეტში, მიენიჭა 1998 წელს რუსულ ენასა და ლიტერატურაში. იგი ამჟამად იკვლევს სტალინის პერიოდის შრომით გამოსასწორებელი ბანაკების სამედიცინო ისტორიას. მის ნაშრომებსა და პუბლიკაციებში ძირითადი ყურადღება ეთმობა თანამედროვე რუსეთისა და საბჭოთა კავშირის სოციალურ და კულტურულ ისტორიას.

Dan Healey

Professor Dan Healey joined St Antony's College as a Professor of Modern Russian History in October 2013. Before that, he taught at the University of Reading (2011-2013) and at Swansea University (2000-2011). He received his BA in Russian Language & Literature from the University of Toronto in 1981 and after a career in the travel industry, his PhD from the University of Toronto in 1998. He is currently researching a book on the history of Medicine in Stalin's Gulag camps. His research and publications have concentrated on the social and cultural history of modern Russia and the Soviet Union.

კრისტოფერ გერი

პროფესორ კრისტოფერ გერის მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი 1996 წელს, მაგისტრის ხარისხი კი - 1997 წელს ეკონომიკის ფაკულტეტზე, აღმოსავლეთ ანგლიის უნივერსიტეტში. მან დოქტორის ხარისხი ეკონომიკის მიმართულებით მოიპოვა 2002 წელს ესექსის უნივერსიტეტში. 2017 წლის სექტემბერში იგი გახდა ასოცირებული პროფესორი რუსეთის და ევრაზიის პოლიტიკური ეკონომიკის მიმართულებით, ოქსფორდის წმინდა ენტონის კოლეჯში. 2002-2017 წლებში იგი მოღვაწეობდა ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯში სლავური და აღმოსავლეთ-ევროპული სწავლებების მიმართულებით. ბოლო 3 წელი იგი იყო სანქტ-პეტერბურგში ეკონომიკის უმაღლესი სკოლის წევრი. მისი ამჟამინდელი კვლევა ეხება ჯანმრთელობის პოლიტიკურ ეკონომიკას, სარგებელსა და შრომას რუსეთში. მისი სწავლების ინტერესები და კვლევა საკმაოდ ვრცელია და მოიცავს ჯანმრთელობის ეკონომიკას, მიკროეკონომიკას, ევროპულ ინტეგრაციას, საბაზრო პოლიტიკურ ეკონომიკას.

Christopher Gerry

Professor Christopher J Gerry received his BA and MA in Economics from the University of East Anglia in 1996 and 1997 respectively and his PhD in Economics, from University of Essex, in 2002. He joined St Antony's College as an Associate Professor of Russian and Eurasian Political Economy in September 2017. Before that he held positions at the UCL School of Slavonic and East European Studies (2002-2017) and, during recent 3-year period of leave, at the National Research University Higher School of Economics (HSE) in St. Petersburg (2014-2017), where he continues to hold a part-time affiliation. His current research focuses on the political economy of health, welfare and labor in Russia. His teaching interests and expertise are wide-ranging, including Health Economics, Macroeconomics, Public Choice, European Integration and the Political Economy of Emerging Markets.

ირინე დემეტრაძე-რენცი

ირინე დემეტრაძე-რენცმა დოქტორის ხარისხი არქეოლოგიაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო 2014 წელს. მისი კვლევის სფერო ინტერდისციპლინურია და მოიცავს ლანდშაფტის კვლევებს, ნამოსახლართა მოდელების შესწავლას, რომაული პერიოდის არქეოლოგიას და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების გამოყენებას არქეოლოგიაში. ამჟამად, მის განსაკუთრებულ ინტერესს რომის აღმოსავლეთი იმპერია და კავკასია წარმოადგენს. ეს თემები ირინე დემეტრაძე-რენცის სალექციო კურსებს შეადგენენ. იგი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2010 წლიდან ასწავლის. ირინე დემეტრაძე-რენცის საველე არქეოლოგიური გამოცდილება 1987

წლიდან იწყება. მას შემდეგ მან მრავალ ქართულ და საერთაშორისო არქეოლოგიურ პროექტში მიიღო მონაწილეობა.

ირინე დემეტრაძე-რენცი იყო მიწვეული მკვლევარი ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის დეპარტამენტში 2011-13 წლებში, ფაკულტეტის განვითარების პროგრამით. 2015-16 წლებში კი ვილიამ ფულბრაიტის სტიპენდიით იმყოფებოდა ბერკლის უნივერსიტეტის კლასიკის ფაკულტეტზე მიწვეულ მკვლევრად.

2017-18 წლებში იგი იყო აკადემიური ვიზიტორი ოქსფორდის უნივერსიტეტის სენ ენთონის კოლეჯის ინტერდისციპლინური კვლევების სკოლაში, სადაც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით მუშაობდა პროექტზე „სოციალური და რელიგიური სტრუქტურები რომაული პერიოდის იბერიაში". 2011-16 წლებში იგი იყო ამერიკის არქეოლოგიური საზოგადოებისა და ინსტიტუტის წევრი.

ირინე დემეტრაძე-რენცი რამდენიმე სტატიის ავტორია მილსადენის არქეოლოგიაზე, ბერძ-ნულ იმპორტსა და რომაული პერიოდის ნამოსახლართა სისტემებზე კავკასიის იბერიაში.

Irina Demetradze-Renz

Dr. Irina Demetradze-Renz completed her Doctoral degree in Archaeology at Ilia State University in 2014. Since 2010 she has been teaching at Ilia State University. Her research interests are interdisciplinary. She studies the fields of Landscape Archaeology, Settlement Archaeology, Roman Archaeology, and Archaeology and GIS. Her particular focus is the eastern Roman Empire and the Caucasus. These subjects formed her course syllabi.

Dr. Demetradze-Renz's expertise in field archaeology goes back to 1987. Since then she has participated in various local and international archaeological projects. Dr. Demetradze-Renz was the Faculty Development Fellow at the Department of Anthropology and William Fulbright Scholar at the Department of Classics at the University of California, Berkeley in 2011-13 and 2015-16.

In 2017-18 she joined the School of Interdisciplinary Area Studies, St Antony's College, University of Oxford, as an academic visitor, funded as part of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia grant. Her research project encompassed Roman social and religious structures in the Southern Caucasus. Between 2011-2016 Dr. Demetradze-Renz was a member of Society for American Archaeology and Archaeological Institute of America.

She is the author of several publications on pipeline archaeology in Georgia, and Greek imports and Roman settlement patterns in Caucasian Iberia.

თეზისი

ურბანული განვითარება რომაულ იბერიაში

იბერიის ურბანული განვითარება სხვადასხვა კულტურულმა და ბუნებრივმა ფაქტორმა განაპირობა. იბერიის ძველი მოსახლეობა თავიანთი რწმენა-წარმოდგენების მიხედვით ქმნიდა ურბანულ ლანდშაფტებს. არქეოლოგიური და წერილობითი წყაროები წარმოარენენ იმ წინაპირობებს, რომლებმაც მტკვარ-არაგვის აუზში ძვ.წ. პირველი საუკუნის ბოლოდან ურბანულ განვითარებას შეუწყო ხელი. რომაული ურბანიზმის მნიშვნელოვანი მაჩვენებლები ჩნდება ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან. რომაული ურბანიზმი ამ არეალში, გარკვეულწილად, რომაულ-იბერიული პოლიტიკური კავშირების შედეგი იყო, რაც რომს, პართიასა და არმენიას შორის არსებული დაძაბული პოლიტიკის ფონზე წარიმართა. რომაული ურბანიზმის ნიშნებს განსაკუთრებულად კარგად ასახავს იბერიის იმდროინდელი მთავარი ქალაქი არმაზი. მისი ქალაქგეგმარება და არქიტექტურა რომაული სამშენებლო მეთოდებით შექმნილ გარემოს წარმოადგენენ. თუმცა, ირანული გავლენაც თვალსაჩინოა ცალკეულ არტეფაქტებზე. ირანული ზეგავლენის მთავარი მანიშნებელი ზოროასტრიზმი იყო, რომელიც გავრცელებული იყო ქრისტიანობამდელ ქართლში. მოგვების ინსტიტუტის არსებობას აღწერს შუასაუკუნეების ქართული საისტორიო წყარო, თუმცა არქეოლოგიურ მასალაში ამის უტყუარი საბუთები არ მოგვეპოვება.

ეს მოხსენება განიხილავს ნამოსახლართა ორგანიზაციასა და ურბანული ცენტრების (არმაზი, მცხეთა) სოციალურ და რელიგიურ სტრუქტურებს არქიტექტურის, სამშენებლო მეთოდების, სამარხეული ინვენტარისა და ეპიგრაფიკული ძეგლების მაგალითებზე. იგი ხაზს უსვამს არქეოლოგიურ მასალასა და რომაულ და ქართულ წერილობით წყაროებს შორის არსებულ წინააღმდეგობრიობას.

Abstract

Urban Developments in Roman Iberia

Various cultural and natural factors influenced urban development in Iberia. Ancient peoples of Iberia constructed and conceptualized surrounding landscapes according to their understanding and beliefs. Archaeological and written sources demonstrate the prerequisites that stimulated urban development in the Kura-Aragvi basin between the 1st century BCE and the 3rd century CE.

The significant indications of Roman urbanization since the beginning centuries of the Common Era are evidenced in the area. They resulted from long-term Roman-Iberian interactions and developed against the background of Roman, Parthian, and Armenian relationships. Particularly, the city of Armazi, the center of Iberia back in those times, displays the obvious signs of Roman urbanization. The city planning, architecture, and construction methods combine to show a Roman influenced built environment. Although Parthian motifs may be found as well in a number of items. The main marker for Parthian influence is probably Zoroastrianism that was practiced in Iberia before Christianization. A structured priesthood - the Magi - is attested to in medieval Georgian historical records, although strong evidences in archaeological records cannot be found.

The paper will examine settlement organization and social and religious structures of urban centers (Armazi, Mtskheta) according to archaeological finds and epigraphic materials. It will look at agreements and controversies that can be found among archaeological materials and Roman and Georgian historical records.

მარიამ ნანობაშვილი

მარიამ ნანობაშვილმა 1991 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის 55-ე სკოლა, ხოლო 1995 წელს – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი არაბისტიკის სპეციალობით (Summa Cum Laude). 1999 წელს დაიცვა დისერტაცია კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში. 1997 წლიდან მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც ამჟამად ასოცირებული პროფესორია. ასწავლის არაბულ ენას, არაბულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებს, ქრისტიანული არაბული ლიტერატურის ისტორიას. სტაჟირება გავლილი აქვს კაიროში, სამეცნიერო კვლევისათვის და ლექციების წასაკითხად ხანგრძლივად იმყოფებოდა ბეირუთის გერმანული აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ვენეციის კა ფოსკარის უნივერსიტეტსა და მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანეს უნივერსიტეტში. გამოქვეყნებული აქვს ორი მონგრაფია, ათეულობით სტატია ქრისტიანული არაბისტიკისა და ქართველოლოგიის დარგში. ბოლო წლებში იკვლევს რენესანსის პერიოდის იტალიურ საპილიგრიმო ლიტერატურას.

მარიამ ნანობაშვილი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის მფლობელია. პროექტი დაფინანსდა 2015 წლის საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსის ფარგლებში.

Mariam Nanobashvili

In 1991 she finished the 55th school of Tbilisi with honours, and in 1991 graduated from Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Oriental Studies (Summa Cum Laude). In 1999 she obtained her PhD at Korneli Kekelidze Institute of Manuscripts. Since 1997 she has been working at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, where presently she is an Associate Professor. She teaches the Arabic Language,

Arabic-Georgian Literary Contacts, the History of Christian Arabic Literature. She was trained in Cairo and spent long periods at the German Institute for Oriental Studies in Beirut, Ca' Foscari University in Venice and Ludwig Maximilian University in Munich for research and teaching. She has published two monographs and a number of articles in the field of Christian Arabic Studies and Georgian Studies. Last years she has been studying Italian pilgrimage literature of the epoch of the Renaissance.

Mariam Nanobashvili is the grant holder of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Project was supported by SRNSFG in frame of the 2015 Call for Supporting Research of Georgia's cultural and material heritage abroad .

თეზისი

XVI საუკუნის იტალიელი პილიგრიმის, ბარბონე მოროზინის, ცნობები ქართველთა შესახებ პალესტინაში

ბარბონე მოროზინი XV-XVI საუკუნეთა მიჯნაზე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. 1523 წლიდან იგი ვენეციის კონსული იყო დამასკოში. მანამდე მან არაერთხელ იმოგზაურა მახლობელ აღმოსავლეთში, მათ შორის სირიასა და ლიბანში. 1514 წელს მოროზინი საპილიგრიმოდ იმყოფებოდა პალესტინაში. ეს მოვლენა მან დაწვრილებით აღწერა წიგნში „მოგზაურობა წმინდა მიწაზე", რომელიც დღემდე სრულად გამოცემული არ არის და შემონახულია ერთადერთ ხელნაწერში ვენეციაში წმ. მარკოზის ბიბლიოთეკაში (Ms. Svayer, Ital. VI, 6). ჩვენი ინტერესი ამ თხზულებისადმი განაპირობა შემდეგმა მიზეზებმა: ჯერ ერთი, ეს არის ბარბონე მოროზინის სიზუსტე, სკრუპულოზურობა და ობიექტურობა, მეტად ტოლერანტული დამოკიდებულება აღმოსავლეთის ქრისტიანებისა და თვით მუსლიმების მიმართაც; მეორე - მოროზინის „მოგზაურობა" წმინდა მიწის ბოლო აღწერაა მანამდე, სანამ იგი ოსმალთა ხელში აღმოჩნდებოდა; და მესამე, რაც ამჯერად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ესაა მოროზინის ცნობები იერუსალიმის ქართული სიწმინდეების შესახებ, რომლებიც არ შევიდა გრიგოლ ფერაძის ცნობილ ნაშრომში.
ქართველთა შესახებ იტალიელი ავტორის მიერ აღნიშნულია შემდეგი:

1. მათ [ქართველებს] ეკუთვნით გოლგოთის მთაზე ის ადგილი, რომელსაც ამჩნევია ქრისტეს ჯვარცმის დროს გაჩენილი ღრმა ბზარი, მაცხოვრისა და არამონანიე ქურდის ჯვრების ადგილთა შორის; ისინი აქ „განმგებლობენ" (იტალ. Questo sacratissimo locho è in governo de Gorgi christiani - ეს უწმინდესი ადგილი არის ქართველი ქრისტიანების განმგებლობაში / მბრძანებლობაში);
2. მათ აქვთ ასევე თავიანთი საცხოვრებელი გოლგოთის მთასთან;
3. მათ აქვთ თავიანთი საკუთარი ეკლესია იმ ადგილას, სადაც იდგა ხე, რომლიდანაც დამზადდა ქრისტეს ჯვარზე მოსათავსებელი დაფა წარწერისათვის (იგულისხმება ჯვრის მონასტერი);
4. ისინი ბერძნებთან ერთად სწირავენ მაცხოვრის შობის ეკლესიის მთავარ საკურთხეველში, ასევე წინადაცვეთის ადგილას დამოუკიდებლად აღავლენენ ღვთისმსახურებას.

მოროზინის აღწერაში ნათლად ჩანს, რომ XVI საუკუნის დასაწყისში ქართველები ჯერ კიდევ მყარად იყვნენ დამკვიდრებულნი წმინდა მიწაზე. გარდა იმისა, რომ მათ ჰქონდათ თავიანთი საკუთარი ეკლესია (ჯვრის მონასტერი), ისინი სრულად განმგებლობდნენ გოლგოთის მთაზე ჯვარცმის ადგილას, რომლის სიახლოვეს საცხოვრებელიც ჰქონდათ; ასევე მეტად მნიშვნელოვანია, რომ ქართველები სწირავდნენ მაცხოვრის შობის ეკლესიაში არა მხოლოდ წინადაცვეთის სამლოცველოში, რომელიც მათ ეკუთვნოდა, არამედ ღვთისმსახურებას ბერძნებთან ერთად აღავლენდნენ მთავარ საკურთხეველში.

Abstract

Accounts of the 16th Century Italian Pilgrim Barbone Morosini about the Georgians in Palestine

Barbone Morosini lived and developed his activities in the 15th-16th centuries. From 1523 he was a Consul of Venice in Damascus. Before he had traveled several times in the Middle East, including Syria and Lebanon. In 1514 Morosini went on pilgrimage to Palestine. He described this event in

detail in his book, "Voyage to the Holy Land", which has not yet been published in its full length and is preserved in a single manuscript at St. Mark's library in Venice (Ms. Svayer, Ital. VI, 6).

Our interest in this work was caused by the following reasons: firstly, this is Barbone Morosini's accuracy, scrupulousness and objectivity, very tolerant attitude towards the Christians of the East and even towards the Muslims; besides, "The Voyage" by Morosini is the last description of the Holy Land before the establishment of the Ottoman rule there; and finally, what is the most important aspect at the moment, we are especially interested in the accounts of Morosini about the Georgian sanctuaries in Jerusalem; these accounts were not included in the famous work by Grigol Peradze. The Italian author mentions the following about the Georgians:

1. On the Mountain of Golgotha they [the Georgians] possess the place, where there is visible a deep split that appeared during the crucifixion of Christ, between the places of the crosses of the Saviour and the thief who didn't repent; they "govern" here (Questo sacratissimo locho è in governo de Gorgi christiani);
2. They have their own lodging at the Mountain Golgotha;
3. They have their own church in the place where grew the tree, from which a desk was prepared for the inscription over the cross of Christ (the Monastery of the Cross);
4. They celebrate mass together with the Greeks in the main altar of the Basilica of the Nativity, as well as they celebrate mass independently at the place of the Circumcision.

In the description, given by Morosini, it is obvious that at the beginning of the 16th century the Georgians were still firmly settled in the Holy Land. In addition to their own church (the Monastery of the Cross), they were entirely holding the place of the Crucifixion on the Mountain of Golgotha, possessing also the nearby lodging; it is also very important that they celebrated mass not only at the sanctuary of the Circumcision, which belonged to them, but also at the main altar of the Basilica of the Nativity, together with the Greeks.

ვახტანგ ლიჩელი

ვახტანგ ლიჩელი არის ივ. ჯავახიშვლის სახელობის თბილისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. 2007 წლიდან დღემდე არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი. 2013-2017 წწ. სალექციო კურსები აქვს ჩატარებული: ლეიდენის (ჰოლანდია), ინსბრუკის (ავსტრია), კა ფოსკარის (ვენეცია, იტალია) უნივერსიტეტებში. 1973 წლიდან დღემდე მონაწილეობს საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე გათხრებში (ვანი, ნასტაკისი, ძალისა, აბასთუმანი, წნისი, ბენარა, ასპინძა, წაღვერი, ფოთი, მზეთამზე, იგოეთი, თმოგვი, ურბნისი, ოთარშენი, ბერთაყანა, აწყური და სხვა).

ვახტანგ ლიჩელი ხელმძღვანელობს გრაკლიანი გორის გათხრებს, სადაც აღმოჩენილია საქართველოსა და კავკასიაში უძველესი დამწერლობის ნიმუშები. 2015 -2017 წლებში იგი, აგრეთვე, ხელმძღვანელობს არქეოლოგიური კვლევებს კუნძ. კვიპროსზე. სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემული აქვს 100-მდე ნაშრომი (საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანში, თურქეთში, საბერძნეთში, რუსეთში, ინგლისში, დანიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, ესპანეთში, გერმანიაში, პოლონეთში, ავსტრალიაში, ურუგვაიში (მათ შორის ხუთი მონოგრაფია (1991, 2001. 2010, 2012, 2014, საქართველო). ვახტანგ ლიჩელი მონაწილეობს საერთაშორისო კომისიებსა და საზოგადოებებში, იგი არის იუნესკოს საქართველოს კომისიის "ადამიანი და გარემო" წევრი (2010 წლიდან დღემდე), ISMEO-ს (იტალია) წევრი (2017 წლიდან).

ვახტანგ ლიჩელი ეწევა საგამომცემლო საქმიანობასაც, არის ჟურნალის "Ancient Civilizations from Scythia to Siberia" (ჰოლანდია) მრჩეველთა საბჭოს წევრი (2003 წლიდან დღემდე), აგრეთვე ჟურნალის "Caucasus Journal of Social Sciences" სარედაქციო საბჭოს წევრი (2007 წლიდან დღემდე). მიღებული აქვს საერთაშორისო სტიპენდიები და გრანტები: DAAD-ის (გერმანია) სტიპენდია -2013-2016; გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის სტიპენდია-სამჯერ; მონრეალის უნივერსიტეტის სტიპენდია-ორჯერ; დიდი ბრიტანეთის აკადემიის სტიპენდია; USAID-ის გრანტი (2006); შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია - 2010 ხელმძღვანელობს საერთაშორისო პროექტებს (2011-2017-ქართულ-ავსტრიული (ინსბრუკი) და

2004 - დღემდე - ქართულ-გერმანული (ნიუნბერგი) ერთობლივი არქეოლოგიური პროექტები. ვახტანგ ლიჩელი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის გამრჯვებულია, რომელიც დაფინანსდა 2017 წლის საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის სახელმწიფო გრანტების კონკურსის ფარგლებში.

2013 წელს მიღებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის "ბრწყინვალების ორდენი". 2016 წელს გახდა წმ. გრიგოლ ფერაძის პრემიის ლაურეატი (პოლონეთი).

Vakhtang Licheli

Prof. of Iv. Javakhishvili Tbilisi State University. The work experience of Vakhtang Licheli includes being the Director of the Institute of Archaeology since 2011. In 2013-2017 he read lectures as the invited professor at the universities: Ca' Foscari University of Venice (Italy), University of Innsbruck (Austria) and Leiden University (The Netherlands). Vakhtang Licheli has been the head of the Archaeological Mission on Cyprus during the last 3 years. He has also been the head of the expedition in Igoeti since 2008, where he has discovered the earliest inscription in Georgia and the whole Caucasus, dating back to the 10th century BC.

Vakhtang Licheli participated in a number of different expedition in Georgia since 1971. He was the leader of several international archaeological projects in 2011 - 2017, including the Georgian-German Phasis project and the Georgian-Austrian Khovle Project. He has also lead the Georgian-Italian expedition in Tmogvi.

In the period between 1992 and 2017 he was granted different scholarships (German Institute of Archaeology in Athens, Consultations in European Council (Strasburg), British Academy Black Sea Initiative, USAID, DAAD). From 2010 until resent Vakhtang Licheli has been the member of the UNESCO commission in Georgia „Man and Nature", since 2017 he has been the member of ISMEO (Italy).

Vakhtang Licheli is the grant holder of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Project was supported by SRNSFG in frame of the 2017 Call for Supporting Research of Georgia's cultural and material heritage abroad.

Vakhtang Licheli received different awards, among them the Georgian State Award- the Presidential order of Excellence (2013), and the St. G. Peradze Award (Poland, 2016).

თეზისი

ქართული არქეოლოგიური მისია კვიპროსზე (2017 წელი)
ვახტანგ ლიჩელი (თანაავტორები: გ. გაგოშიძე, მ. კასრაძე, ზ. გიორგაძე)

არქეოლოგიური გათხრები კუნძულ კვიპროსზე მიმდინარეობდა სოფელ სოფტადესთან მდებარე ბორცვზე (ქ. ლარნაკას მუნიციპალიტეტი), რომლის თხემზეც შემორჩენილ ნახევარწრიული აფსიდის ნანგრევს ადგილობრივი მოსახლეობა წმ. გიორგის სახელს და ქართველ სასულიერო პირებს უკავშირებს. ეს მონაცემები ლოგიკურ თანხვედრაშია ისტორიულ წყაროებში დაცულ ცნობებთან, რომელთა მიხედვითაც ალამინოს არეალში ქართული სასულიერო კერების არსებობა დასტურდება (იხ. სტეფანე ლუზინიანის -Étienne Lusignan - 1580 წელი, „აღწერილობა კუნძულ კვიპროსისა").

გათხრების შედეგად დადასტურდა სამი სხვადასხვა პერიოდის სამშენებლო ფენა:

1. ადრეული შუა საუკუნეების სამნავიანი ბაზილიკა (VI ს.)
2. შემდგომ ეტაპზე, დამატებული სამშენებლო ფენით, საკურთხევლის აფსიდი შემცირებულია (აფსიდის დიამეტრი - 2,68 მ); სავარაუდოდ ეს ეკლესია კამარით გადახურული ერთნავიანი შენობაა (XII-XIII სს?)
3. საკურთხევლის აფსიდში ფიქსირდება მესამე სამშენებლო ფენაც (საკურთხევლის აფსიდის დიამეტრი - 2,02 მ).

Abstract

Archaeological Mission of Georgia in Cyprus (2017)

Vakhtang Licheli (Co-authors: G. Gagoshidze, M. Kasradze, Z. Giorgadze)

An archaeological excavation was carried out on the island Cyprus, in village Softades (Greek Σοφτάδες, Larnaca district), where is located small hill (10 meter above sea level, the GPS coordinates of hill are - 36S-548949.86mE, 3852569.36mN; 36S-548913.49mE, 3852544.01mN; 36S-548888.50mE, 3852574.87m.N) There is remain of semicircular apse of alter, oriented eastern on the top point of a hill. These remains are connected to the name of Saint George church by oral traditions of local people and Cypriot churchmen and according to the same traditions, St. George Church was belonged to Georgian churchmen. This basic data is in logical convergence with historic sources (Etienne de Lusignan., Description of the island of Cyprus, Paris, 1580).

After the first year (2017 October) excavations, several construction levels on the Softades Church was unearthed:

1. Three nave Basilica dated to early medieval period (6th century).
2. For the next period was added construction level, the altar apse has the same form (diameter - 268 cm.) the walls of nave are bigger and the church nave is a bit smaller than it was in earlier church. It was one nave building(12th - 13th cc?).
3. In altar nave is proved also third construction period (diameter of altar apse - 202 cm.) the apse has oval form, the church also in this time might be one nave building.

ზაზა სხირტლაძე

ზაზა სხირტლაძემ 1979 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით. მას აქვს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის სამეცნიერო წოდება 2003 წლიდან (სადისერტაციო თემა ,,ადრეული შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობა. თელოვანის ჯვარპატიოსანი'').

ზაზა სხირტლაძე ამჟამად არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის დირექტორი. იგი ხელმძღვანელობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს ხელონებათმცოდნეობაში. ზაზა სხირტლაძის ძირითადი სამეცნიერო ინტერესებია: შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის და საქართველოს ხელოვნება, კულტურული ურთიერთმიმართებები სამხრეთ კავკასიაში, სამონასტრო ცხოვრება უდაბნოში. იგი ავტორია რამდენიმე წიგნისა, აგრეთვე, ადგილობრივ და საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი სტატიებისა, რომელთა ნაწილი შესრულდა მისი სამეცნიერო მივლინებების დროს დუმბარტონ ოკსში (ვაშინგტონი, ამერიკის შეერთებული შტატები), ვორიკში, ოქსფორდსა და კემბრიჯში (დიდი ბრიტანეთი), კოლეჟ დე ფრანსში (პარიზი, საფრანგეთი).

ზაზა სხირტლაძე მონაწილეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბულგარეთში, დიდ ბრიტანეთში, ისრაელში, კვიპროსზე, საფრანგეთში, საქართველოში, სომხეთში, უნგრეთში, შვეიცარიაში ჩატარებულ მრავალრიცხოვან სიმპოზიუმში, სამუშაო შეხვედრებში და სემინარებში. ამასთანავე, ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში იგი ჩართული იყო სხვადასხვა პროექტში, როგორც მონაწილე ან ხელმძღვანელი, მათ შორის: "გარეჯის უდაბნოში ახლად აღმოჩენილი, ადრექრისტიანული კლდეში ნაკვეთი მონასტრების ფიქსაცია, რესტავრაცია და კვლევა" (1997-2000); "გარეჯის უდაბნოს, წმ. დავით გარეჯელის ლავრის ძეგლთა რესტავრაცია" (2001); "ქართული კედლის მხატვრობის კორპუსი" (2001-2003), "ისტორიულ პირთა გამოსახულებების კორპუსი ქართულ ხელოვნებაში" (2003-2010); "კავკასია და ბიზანტია გვიანანტიკური პერიოდიდან შუა საუკუნეებამდე - ინოვაციური კურიკულუმის შექმნა" (2012-2015); "საზღვრების კვეთა: ქრისტიანები, მუსლიმები და მათი ხელოვნება აღმოსავლეთ ანატოლიასა და კავკასიაში" (2015-2018).

Zaza Skhirtladze

Zaza Skhirtladze graduated from Tbilisi State University in 1979. He holds Doctor's Degree in Art History Since 2003 (Theses' title - "Early Medieval Georgian Monumental Painting. Murals of the Church of Holy Cross in

Telovani").
Professor Skhirtladze currently is a director of the Institute of Art History and Theory, Ivane Javakhishvili Tbilisi State University. He is coordinating BA, MA and PhD Programs in Art History and Theory. Professor Skhirtladze's main research interests are Medieval Art of the Christian East and Georgia, cultural interrelations in the South Caucasus, desert monasticism. He is the author of several books, as well as numerous articles in the local and international periodicals, part of which was done during his scholarships in Dumbarton Oaks, Washington DC, Warwick, Oxford, and Cambridge Universities, in the College de France in Paris.

He participated in several International Symposia, workshops and seminars in Armenia, Bulgaria, Cyprus, France, Georgia, Greece, Hungary, Israel, Switzerland, United Kingdom, United States of America. He was involved in several projects as a participant or the supervisor during last three decades, among these: «Rescue Survey, Restoration and Analysis of Newly Discovered Early Christian Rock-Cut Monasteries in the Gareja Desert of Georgia» (1997-2000), «Restoration of the monuments in the Lavra of St. David, in the Gareja Desert» (2001), Grant for "Corpus of Georgian Murals" (2001-2003), "Corpus of Historical Figures in Georgian Art" (2003-2010), "The Caucasus and Byzantium from Late Antiquity through the Middle Ages – Development of Innovative Curricula" (2012-2015), "Crossing Frontiers: Christians and Muslims and their Art in eastern Anatolia and the Caucasus (2015-2018).

თეზისი

ქართული კულტურული მემკვიდრეობა ანისში:
ახალი მონაცემები

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით სამი წლის მანძილზე (2016-2018) მიმდინარე პროექტის განხორციელების შედეგად ანისში – სამხრეთი კავკასიისა და ანატოლიის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და აღმსარებლობით გზაჯვარედინზე მდებარე ქალაქში – გამოვლინდა მნიშვნელოვანი მასალები, რომლებიც მრავალმხრივ სრულყოფს ამ რეგიონში სხვადასხვა კულტურული წრის შეხვედრისა და ურთიერთმიმართების სურათს, ამასთანავე, ახალი, მრავლისმომცველი, კუთხით წარმოაჩენს რეგიონში მიმდინარე ეთნოკონფესიურ თუ კულტურულ პროცესებს, როგორც საქართველოს სახელმწიფოს, ისე საქართველოს ეკლესიის მიმართებებს ამ პროცესებთან, საზოგადოდ, კი - ქართული კულტურული მემკვიდრეობის ადგილსა და როლს ამ პროცესებში.

პროექტზე მუშაობის პროცესში გამოვლენილ და შესწავლილ მასალებს შორის უნდა აღინიშნოს:

- ყარსის მუზეუმის ფონდებში დაცული, შვიდ ათეულზე მეტი მონეტა, რომლებიც ანისისა და ისტორიული შირაკის საქართველოს სახელმწიფოს არეალში მოქცევას უკავშირდება.
- ას ორმოცდაათზე მეტი ქართული ფრესკული წარწერა ანისის წმ. გრიგოლ პართეველის ეკლესიის მოხატულობიდან. ამ წარწერების უმეტესობა უცნობი იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, ცნობილები კი, მხოლოდ ნაწილობრივ ან ხარვეზებით ამოკითხული. შესრულდა ყველა წარწერის გრაფიკული მონახაზი; შესაბამისად გაიშიფრა და დადგინდა ფრესკული ტექსტების უმეტესობა.
- საქართველოს ეროვნული მუზეუმის ფოტოთეკაში დაცული XIX საუკუნის მიწურულს ალექსანდრე როინაშვილისა და დიმიტრი ერმაკოვის მიერ გადაღებული ას ოცზე მეტი უნიკალური ფოტონეგატივი, რომლებიც ასახავენ ანისის ნაქალაქარის არქიტექტურის თუ ეპიგრაფიკის იმხანად ჯერ კიდევ შემორჩენილ ძეგლებს.
- თბილისისა და სანკტ-პეტერბურგის სიძველეთსაცავებში დაცული XIX-XX საუკუნეების მიჯნის საარქივო მასალები ანისის ქართული სიძველეების თაობაზე.

ამასთანავე, შეძლებისდაგვარად, სრულად იქნა თავმოყრილი ქართული, სომხური, არაბული, სპარსული, სირიული და ოსმალური ნარატიული წყაროები, აგრეთვე, ქართული და სომხური ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც ასახავს ანისსა და ისტორიულ შირაკში მიმდინარე, ქართულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ, პოლიტიკურ, აღმსარებლობით, კულტურულ პროცესებს; შესრულდა გამოკვლევა ანისის პოლიტიკური ისტორიის, ისტორიული და საეკლესიო გეოგრაფიის საკითხებზე; საგანგებო კვლევები მიეძღვნა ანისის საქალაქო ცხოვრებას საქართველოს სახელმწიფოს მფლობელობის პერიოდში, ქართული სახელმწიფოს დომინაციის ეპოქის აღმშენებლობასთან დაკავშირებულ საეკლესიო და საფორტიფიკაციო ნაგებობებს, ანისში შემორჩენილ კედლის მხატვრობის ძეგლებს.

კავკასოლოგიის უმნიშვნელოვანეს პრობლემებთან დაკავშირებულ ძეგლთა შორის გამორჩეულად გამოიყოფა წმ. გრიგოლ პართეველის ეკლესიის მხატვრობა, შექმნილი და ნაწილობრივ გაახლებულ-შევსებული XIII საუკუნის განმავლობაში. მოხატულობა ათწლეულების მანძილზე გაუნელებელ ინტერესს იწვევდა სამეცნიერო წრეებში. მისი შექმნის დროისა და შემსრულებლების წარმომავლობის, ისევე როგორც ფერწერული ანსამბლის იკონოგრაფიულ პროგრამაში აღბეჭდილი ეთნოკონფესიური მიმართებებისა და მიზანდასახულობების თაობაზე ათწლეულების განმავლობაში სხვადასხვა მოსაზრებები არსებობდა.

მხატვრობის კვლევამ (რომლის დროსაც შესრულდა ფრესკულ გამოსახულებათა ას ორმოცამდე დეტალური გრაფიკული სქემა) ახალი კუთხით გააშუქა მის შექმნასთან დაკავშირებული საკითხები. ფერწერული ანსამბლის პროგრამაში ჩართულ წმ. გრიგოლ პართეველის ციკლთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტებით ცხადი გახდა კავკასიის ისტორიის განსაზღვრულ ეტაპზე, სომეხთა განმანათლებლის მიერ კავკასიის სხვა ერების მოქცევის შესახებ არსებული თეორიის უსაფუძვლობა. გაირკვა, რომ წმ. გრიგოლის ეკლესიის მოხატულობისა და, კერძოდ, სომეხთა მომაქცევლის ცხოვრების იქ წარმოდგენილი ციკლის საზრისის წანამძღვრები სხვა, ბევრად უფრო მომცველ წინაპირობებთან მიმართებითაა საძიებელი. ეს წინაპირობები, გარკვეული ისტორიული ეტაპისთვის, საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიის მიზანდასახულობასთან იყო დაკავშირებული.

Abstract

Georgian Cultural Heritage in Ani:
New evidences

Important materials have been obtained as a result of a three-year project (2016-2018) financed by Shota Rustaveli National Science Foundation, which in many ways improves the overall picture of Ani - a city situated on the political, economic, and confessional edge of Anatolia and South Caucasus, a place of meeting and interrelation of variety of cultural circles; at the same time it uncovers a new exhaustive angle on ethno-confessional and cultural processes in the region, on the relation of both the Georgian State and the Georgian Church to these processes, and in general on the place and role of Georgian cultural heritage in these processes.

Among the materials uncovered and explored during the project work the following has to be pointed out:

- More than seventy coins preserved in the collections of the Kars Museum, related to the inclusion of Ani and historic Shirak in the area of Georgian State.
- About one hundred and forty Georgian fresco inscriptions from the wall painting of the church of St. Gregory the Parthian. Most of those inscriptions were unknown to scientific circles, while those that were known had been read through partially or inaccurately. The graphic outlines of all the inscriptions were done; accordingly, most of the inscriptions have been deciphered and identified.
- More than one hundred and twenty unique photographic negatives taken by Aleksandre Roinashvili and Dimitri Ermakov at the end of 19th century stored at the National Museum of Georgia and depicting the Ani site architectural or epigraphic monuments still preserved by that time.
- Archival materials on the Georgian antiquities of Ani of the turn of the 19th – 20th centuries stored at depositories of Tbilisi and Saint-Petersburg.

In addition, Georgian, Armenian, Arabic, Persian, Syrian, and Ottoman narrative sources, as well as Georgian and Armenian inscriptions, which reflect the political, religious, confessional and cultural processes related to the Georgian heritage occurring in Ani and historical Shirak have been brought together; a research on political history, historical and ecclesiastical geography of Ani was performed; special studies were dedicated to the city life of Ani, the ecclesiastical and fortification structures associated with the construction process in the epoch of the Georgian domination and the monuments of wall painting preserved in Ani. The murals of the Church of St. Gregory the Parthian created and partially renovated during the 13th century, is given prominence as compared with the monuments associated with the most important problems of the Caucasian studies. The painting has attracted undiminishing interest of scholarly circles in decades. Different opinions were expressed about the period of the creation and the origin of painting as well as the ethno-confessional interrelations and intentions revealed in its iconographic program.

The study of the painting (during which about one hundred and forty graphic schemes of the frescoes were done) highlighted new aspects on the issues pertaining to its creation. The closer definition of the points related

to the cycle of St. Gregory the Parthian included in the program of the painted decoration, made it clear that the theory put forward at certain stage of the Caucasian history, as if the Apostolic Saint of Armenia converted other Caucasian nations, was groundless. It was revealed that the multipartite concept of the painting of the church of St. Gregory and, specifically, of the life cycle of the local saint have to be sought in the context of various much more substantial prerequisites which were associated with the purposefulness of the Georgian State and the Georgian Church.

ბექა კობახიძე

ბექა კობახიძეს დოქტორის ხარისხი მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2015 წელს. ამჟამად, ის არის ოქსფორდის უნივერსიტეტის რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის შესწავლის ცენტრის პოსტსადოქტორო მკვლევარი და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) ასოცირებული პროფესორი. ამასთანავე, ბექა არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის მიწვეული ლექტორი. კვლევის ძირითადი მიმართულებებია: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) საგარეო პოლიტიკა; კავკასიის რეგიონში დასავლეთისა და რუსეთის წინააღმდეგობრივი ურთიერთობები; კავკასიელ ხალხთა შორის არსებული ურთიერთობები XIX-XX საუკუნეებში. მიმდინარე ეტაპზე ის წერს მონოგრაფიას - „პარიზი 1919-1920: საქართველოს დამოუკიდებლობა დასავლეთის პოლიტიკაში." ბექას კობახიძეს 2012-2014 წლებში მიღებული აქვს პრეზიდენტის გრანტი ახალგაზრდა მეცნიერთათვის; 2014 წელს - ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს" გრანტი და ახლა იმყოფება დიდ ბრიტანეთში ოქსფორდის უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ერთობლივი საგრანტო პროგრამით.

Beka Kobakhidze

Beka Kobakhidze received his PhD degree at Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2015. He is an Associate Professor of Georgian Institute of Public Affairs (GIPA), Invited Lecturer at the University of Georgia and Caucasus University. He was teaching at Ilia State University from 2015-2017. Currently he is a Visiting Fellow at Russian and East European Studies Centre, School of Interdisciplinary Area Studies at the University of Oxford. His research interests lie in the foreign policy of the Democratic Republic of Georgia (1918-1921) and the historical intersection between Russia and the Western Great Powers in the Caucasus and contested regional history of the Caucasus of 19th and 20th Centuries. His ongoing research project is 'Paris 1919-1920: Independence of Georgia in the Political West'. Beka Kobakhidze was awarded a Presidential Grant for Young Scholars in 2012-2014 and with an Open Society Georgia Foundation grant in 2014 that enabled his extensive research travels to the UK, France etc.

Beka Kobakhidze is the grant holder of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Project was supported by SRNSFG as part of the 2017 Joint Research Programme of the University of Oxford and SRNSFG in Georgian Studies.

თეზისი

„ბრიტანეთის" კავკასია (1918-1920)

პირველი მსოფლიო ომის დაწყების მომენტისთვის კავკასია რუსეთის იმპერიის შიდა პროვინცია იყო. ამის გათვალისწინებით, მოკავშირეებს (ანტანტას) არ ჰქონიათ არანაირი პოლიტიკა რეგიონის მიმართ. თუმცა, როდესაც ბოლშევიკებმა პეტროგრადში ძალაუფლება ხელში ჩაიგდეს და რუსეთი გაიყვანეს ომიდან, გერმანელებმა და ოსმალებმა დაიწყეს ვრცელი რუსული პროვინციების დაკავება. ისინი კავკასიის გავლით სპარსეთს, ინდოეთსა და მთელ „ბრიტანულ აღმოსავლეთს" უქმნიდნენ საფრთხეს. მეორე მხრივ, საფრანგეთმა უფრო მეტი დაწოლა იგრძნო, რადგან გერმანული ჯარები რუსული ფრონტიდან დასავლეთის მიმართულებით გადაჯგუფდნენ.

ამ გამოწვევებზე პასუხის გასაცემად ბრიტანეთი და საფრანგეთი 1917 წლის დეკემბერში

კონფერენციაზე შეიკრიბნენ, პარიზში. მათ უნდა ემსჯელათ თუ როგორ შეევსოთ რუსეთის ომიდან გამოთიშვით წარმოქმნილი სიცარიელეები. გადაწყვიტეს, რომ უკრაინა, ყირიმი და ბესარაბია გახდებოდა საფრანგეთის საპასუხისმგებლო ზონა, ხოლო კავკასიას საკუთარ თავზე ბრიტანეთი აიღებდა. თუმცა, ომის მსვლელობისას მოკავშირეები ძალიან დაკავებულნი იყვნენ სხვადასხვა ფრონტებზე და მათ არსებითად ვერაფერი შეცვალეს კავკასიასა თუ უკრაინაში.

1917 წლის დეკემბრის შეთანხმებამ რეალური მოქმედება ერთი წლის შემდეგ დაიწყო, როდესაც ომი დამთავრდა და დაახლოებით 20 000 ბრიტანელი ჯარისკაცი შევიდა კავკასიის რეგიონში. მათ დაიკავეს ბაქო-ბათუმის მთელი პერიმეტრი და ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი დარიალის ხეობიდან სომხეთის სამხრეთ პროვინციებამდე. ბრიტანეთი გახდა გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ძალა რეგიონში. ბრიტანული ჯარებისადმი გაცემული თავდაპირველი დავალება იყო მტრული გერმანული და ოსმალური ჯარების რეგიონიდან გაძევება, ბაქო-ბათუმის ნავთობსადენისა და სარკინიგზო ხაზის გახსნა. თუმცა, როდესაც ბრიტანული ჯარები ადგილზე ჩავიდნენ, მათ ერთი მხრივ დახვდათ ერთმანეთთან დაპირისპირებული ახალშექმნილი რესპუბლიკები, ხოლო მეორე მხრივ მეფის გენერალი ანტონ დენიკინი, რომელსაც მათი ყველას ერთად დაპყრობა სურდა. ვითარება საკმაოდ კომპლექსური იყო, ეს „ტომობრივი უთანხმოებანი" პარიზის საზავო კონფერენციის მიერ მშვიდობიან დარეგულირებას ითხოვდა. მანამდე კი ბრიტანეთს, შესაძლოა საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდაც, მოუწევდა რეგიონში დროებითი მშვიდობის დაცვა. საგარეო საქმეთა სამინისტრო, სამხედრო სამინისტრო და მინისტრთა კაბინეტი ჩაერთვნენ პროცესში. განიხილებოდა გასატარებელი პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტი. ზოგიერთი კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობას ემხრობოდა; სხვანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ კავკასიის აღდგენილ რუსეთში რეინკორპორაცია გარდაუვალი იყო. ბრიტანული პოლიტიკური ელიტის შიგნით ეს ჭიდილი არც ერთ ეტაპზე არ განელებულა, სანამ ბოლო ბრიტანელმა ჯარისკაცმა არ დატოვა ბათუმის პორტი 1920 წლის ივლისში.

Abstract

The "British" Caucasus of 1918-1920

At a time the Great War broke out the Caucasus was an internal part of the Russian Empire. Hence, the Allies of Entente did not have to have a policy towards the region. As the Bolsheviks seized power in Petrograd and withdrew Russia from the Allied cause, Ottomans and Germans were ready to march into the vast Russian provinces. Through the Caucasus Persia, India and whole of the "British Orient" was threatened. On the other hand, France was stressed since the Second Reich redeployed more troops from the Russian warfare theatres to the West.

To tackle those challenges French and British were summoned at a conference in Paris in December 1917 and decided how to fill the gaps left alone by the Russian surrender. They decided that Ukraine, Crimea and Bessarabia would fall into a sphere of responsibility of France and the Caucasus would be the same for the Great Britain. But the Allies proved inability to do anything substantial during the war, since they were too busy at other frontiers.

Agreement of December 1917 came into implementing process after a year when the war was over. Up to 20000 British troops were deployed from Batumi to Baku, from Dariali valley to southern provinces of Armenia. Hence, the Great Britain became a principal policy maker Great Power in the region. Initial task given to the British troops was to expel hostile German and Ottoman forces from the region, to reopen Baku-Batumi railway and oil pipeline. When on the spot, they discovered embryo republics of the Caucasus in many cases hostile to each other and Tsarist General Anton Denikin wanted to invade them all together. Situation was not straightforward, those "tribal rivalries" needed to be settled amicably at the Paris Peace Conference. Meanwhile Britain, unintentionally, had to maintain provisional peace in the region. Foreign Office, War Office and Cabinet got involved. Policy suggestions were brought forward. Some supported independence of the Republics; others believed their reincorporation to the revived Russia was inevitable. Struggle between different camps of the British political elites never ceased until the last British soldier left Batumi port in July 1920.

ნინო დობორჯგინიძე

ნინო დობორჯგინიძე არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო მიმართულებით და ასევე, ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტს. 1981 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კლასიკური ფილოლოგიის მიმართულება. 1988 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი მიენიჭა.

ნინო დობორჯგინიძე 2017 წლიდან დღემდე არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე. იგი 2010 წლიდან დღემდე არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი ენისა და ლიტერატურის მიმართულებით. 2004-2012 წლებში ნინო დობორჯგინიძე იყო ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი ჯგუფის მთავარი ექსპერტი. 1983-2006 წლებში იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრასთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი.

2006-2014 წლებში ნინო დობორჯგინიძე იყო მიწვეული მკვლევარი რამდენიმე გერმანულ უნივერსიტეტსა და Propaganda Fide-ს ისტორიულ არქივში (იტალია). იგი არის გოტინგენის მეცნიერებათა აკადემიისა და ჰუმბოლდტის ფონდის სტიპენდიისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს კვლევითი გრანტის მფლობელი. 2002-2003 წლებში მან მოიპოვა ალექსანდერ ფონ ჰუმბოლდტის ფონდის სტიპენდიები გერმანულენოვან მონოგრაფიაზე მუშაობისათვის (გოტინგენის მეცნიერებათა აკადემია). ნინო დობორჯგინიძე 2000-2001 წლებში გახდა ალექსანდერ ფონ ჰუმბოლდტის ფონდის საერთაშორისო სტიპენდიის მფლობელი. 1996-2000 წლებში იგი იყო მიწვეული მკვლევარი გოტინგენის მეცნიერებათა აკადემიის პატრისტიკის ინსტიტუტში (EKD/KAAD სტიპენდია).

Nino Doborjginidze

Nino Doborjginidze is a Vice-rector, head of the Institute of Linguistic Studies and full professor at Ilia State University. Nino Doborjginidze graduated from Ivane Javakhishvili Tbilisi State University, faculty of classical philology, in 1981. She has a PhD (1988) in Philology.

In 2004-2012 Nino Doborjgindze was a cheif expert of Georgian language and literature subjects group at National Curriculum and Assessment Center. In 1983-2006 she was a researcher at the department of Old Georgian Languages, Ivane Javakhishvili Tbilisi State University;

In 2006-2014 she was Invited Researcher at several German universities and the historical archives of Propaganda Fide, Italy. Gottingen Academy of Sciences and the Humboldt Foundation Joint Scholarship.In 2002-2003 she got a scholarship from Alexander Von Humboldt Foundation for writing the monograph in the German language (Gottingen Academy of Sciences). In 2000-2001 she got an international scholarship from Alexander Von Humboldt Foundation. In 1996-2000 she was a research fellow at Gottingen Academy of Sciences, Institute of Patristic s Studies (EKD and KAAD fellowship).

თეზისი

წარსული მომავლის ენაზე. ციფრული ჰუმანიტარიის პროექტები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ციფრული ჰუმანიტარიის მიმართულების პროექტები, რომლებიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტში ხორციელდება და რომლებიც ნაწილობრივ, ან სრულად დაფინანსებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსის ფარგლებში.

1. საქართველოს ეპიგრაფიკლის კორპუსი http://epigraphy.iliauni.edu.ge/. პროექტი დაიწყო 2015 წელს არმაზის ბილინგვის ელექტრონული გამოცემის მომზადებით. 2017 წლიდან

იგი გაფართოვდა ლონდონის კინგს კოლეჯთან (პროფ. გაბრიელ ბოდარდი) უშუალო თანამშრომლობით და დაფინანსდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. აღსანიშნავია, რომ ეპიგრაფიკული ძეგლების ელექტრონული გამოცემის საერთაშორისო სტანდარტმა გაიზიარა ჩვენ მიერ მომზადებული ქართული, არამეული, ებრაული და სომხური ეპიგრაფიკის გამოცემის სტილი და იგი 2017 წლიდან აღნიშნული სტანდარტის ნაწილად აღიარა.

2. ქართული ენის კორპუსი http://corpora.iliauni.edu.ge/. ამ ეტაპზე კორპუსი შეიცავს 180 000 000 სიტყვა-ფორმას და არის ყველაზე დიდი სტანდარტული დიაქრონული ელექტრონული რესურსი ძველი, სამშუალო, ახალი, უახლესი ქართულის წერილობითი ტექსტებისათვის. 2012-2014 წლებში შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტის ფარგლებში მომზადდა და აღნიშნულ კორპუსში ინტეგრირებულ იქნა თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზატორი. კორპუსში წარმოდგენილია წინაათონური (V-Xს.) და ათონური პერიოდის (X-XI ს.) ძველი ქართული მთარგმნელობითი ლიტარატურა, „ვეფხისტყაოსნისა“ და „ქართლის ცხოვრების“ პარალელური კორპუსები, თანამედროვე ქართული ენის (1832-2012) კორპუსი. ამ ეტაპზე მუშავდება ლინგვისტური და ტექნოლოგიური სტანდარტები ძველი ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზატორის შესაქმნელად.
3. მეოცე საუკუნის საქართველოს პროსოპოგრაფია http://prosopography.iliauni.edu.ge. პროსოპოგრაფიული კვლევების პროექტი ხანგძლივია და მოიცავს სხვადასხვა ეტაპის სოციალური ისტორიის ამსახველ არაერთ ბაზას (ადრეული შუა საუკუნეების საისტორიო წყაროები, გვიანი შუა საუკუნეების ოსმალური ფინანსური დავთრები და ა.შ.). აღნიშნულ ბაზაში ციფრული პროსოპოგრაფიის სტანდარტის შესაბამისად დოკუმენტირებულია მეოცე საუკუნის საბჭოთა პერიოდამდელი (1900-1918) და საბჭოური სერიული წყაროები საქართველოს ეროვნული არქივის მასალები, პერიოდული გამოცემები, მოგონებები და ა.შ. სამომავლოდ დაგეგმილია ბაზაში სოციალური ქსელის ანალიზატორის ჩაშენება (ამ ეტაპზე შექმნილია ანალიზატორის ცალკეული მოდულები).
4. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროსოპოგრაფიული ბაზა http://society.iliauni.edu.ge/. აღნიშნულ ბაზაში ამ ეტაპზე დოკუმენტირებულია 17 000-ზე მეტი ფაქტოიდი საზოგადოების 13 000-მდე პირის შესახებ 1 550-ზე მეტი სხვადასხვა წყაროდან: (საარქივო დოკუმენტები, საზოგადოების სხდომის ოქმები, საზოგადოების წევრთა მატრიკულები, იმდროინდელი პრესა, საზოგადოების თანამედროვეთა მოგონებები და ა.შ.) ბაზის სტრუქტურა დაგეგმილია ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის ციფრული ჰუმანიტარიის მკვლევართა ჯგუფის მიერ თამარ კალხიტაშვილის ხელმძღვანელობით. ამ ტიპის მონაცემთა ბაზის შექმნა მნიშვნელოვანი ნაბიჯია ისტორიული სოციალური ჯგუფების აქამდე უხილავი კავშირების დასანახად.
5. ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში. ბაზა და სოციალური ქსელი. http://qakuna.iliauni.edu.ge/ka/. პროექტი დაფინანსებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ. სტატიების კრებულთან ერთად მზადდება პროსოპოგრაფიულ მონაცემთა ბაზა; მასში დოკუმენტირებულია ქართული და გერმანული პირველწყაროები სხვადასხვა დროს გერმანიაში მცხოვრები ქართველების შესახებ, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს როგორც საქართველოს, ასევე, გერმანიის კულტურულ, საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. პროექტის ფარგლებში პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში პრუსიის საიდუმლო არქივისა (Geheimes Staatsarchiv Preußischer Kulturbesitz) და გერმანიის პოლიტიკური არქივის (politisches archiv des auswärtigen amtes) მასალები, ასევე, ქართული არქივების სერიული დოკუმენტებისა და პრესის მასალები.

Abstract

The Past on the Language of the Future:
Digital Humanities Projects at Ilia State University

The presentation covers projects developed by the Institute of Linguistic Studies of ISU in the field of Digital Humanities. Each of them aims at documenting cultural heritage properties discovered or preserved in Georgia. The projects are partially or fully supported by the Shota Rustaveli National Science Foundation.

1. Epigraphic Corpus of Georgia http://epigraphy.iliauni.edu.ge/. Financed by Shota Rusitaveli National

Science Foundation (NSF), the project was launched by ISU in 2015. In 2017 it was expanded to benefit from the cooperation with King's College London and Professor Gabriel Bodard, in particular.

2. Georgian Language Corpus (GLC). At present it contains over 180 000 000 tokens and is the largest standard diachronic corpus of Old, Middle and Modern Georgian written texts. A finite state morphological analyzer and generator of New and Modern Georgian language are integrated into it (project supported by NSF).
3. Prosopography of 20th Century Georgia http://prosopography.iliauni.edu.ge. The PDG was funded to create a resource for scholars, students and those interested in 20th century Georgia and Soviet history. The objective of the project has been to compile a prosopographical dataset for Pre-Soviet and Soviet Georgia that is as comprehensive and accessible as possible given the available resources. Priority has therefore been afforded to achieving the greatest possible range and depth of coverage of the available primary sources, and to making the data as accessible as possible in the way it is presented and structured through the web interface.
4. Prosopographic database of the "Society for the Spread of Literacy among the Georgians" The aim of the project is to gain insight into the social and mental transformation of a pre-modern elite into a national intelligentsia and its roots in Georgian agrarian society. At this stage the database contains ca. 17 000 factoids about 13 000 members of the Society documented from 1 550 primary sources.
5. Georgians' Cultural Trace in Germany http://qakuna.iliauni.edu.ge/ka/. The project is financed by the NSF. It aims to collect data on Georgians who lived in Germany at different times and who played an important role in the cultural and sociopolitical life of Georgia and Germany. This is the first project to study the evidence from The Prussian Privy State Archives (Geheimes Staatsarchiv Preußischer Kulturbesitz) and the Political Archive of the Foreign Office, Germany (Politisches Archiv des Auswärtigen Amts).

ირმა ყარაულაშვილი

ირმა ყარაულაშვილმა 1992 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი არმენოლოგიის განხრით. სწავლა განაგრძო ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მედიევისტიკის ფაკულტეტზე, სადაც 1996 წელს მიენიჭა მაგისტრის ხარისხი, ხოლო 2004 წელს - დოქტორის ხარისხი (summa cum laude, წლის საუკეთესო დისერტაცია, მე-2 ადგილი (2004/5)). ირმა ყარაულაშვილი 2004-2005 აკადემიურ წელს იყო პრინსტონის უნივერსიტეტის ელინურ კვლევათა ცენტრის პოსტ-დოქტორანტი, 2005-2006 წელს - პარიზის ადამიანის შემსწავლელ მეცნიერებათა სახლის დიდროს სტიპენდიანტი, 2016 წელს კი - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ,,საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების'' ერთობლივი პროგრამის ერთ-ერთი პირველი გრანტის მფლობელი.

ირმა ყარაულაშვილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ასწავლის 2008 წლიდან. 2013-2014 წლებში იგი მიწვეული ლექტორის სტატუსით კითხულობდა ლექციებს მონპელიეს პოლ ვალერის უნივერსიტეტში.

Irma Karaulashvili

Irma Karaulashvili is a Georgian scholar of Ancient Georgian Narrative Sources. She holds PhD (2004, summa cum laude, Best Dissertation award, 2nd place) and MA (1996) degrees from the Department of Medieval Studies, Central European University, Budapest, and an MA degree in Armenian Studies from the Department of Oriental Languages, Tbilisi State University (1992). Dr. Karaulashvili was a recipient of post-doctoral fellowships from the School of Hellenic Studies, Princeton University (2004-2005) and the Foundation Maison des Sciences de l'Homme, Paris (2005-2006). She was one of the first recipients of the Georgian Programme fellowship sponsored by the Shota Rustaveli National Science Foundation (2016), which allows Georgian scholars to spend an academic year at Oxford University.

Since 2008 she has been teaching - with research breaks - at Ilia State University. In 2013 and 2014 she was a visiting lecturer at the Université Paul Valery-Montpellier III.

თეზისი

ნარატიული წყაროების ძირითადი მახასიათებლების ადაპტაცია და აპროპრიაცია და იდენტობის ფორმირება გვიან ანტიკურ და შუა საუკუნეების საქართველოში

ნარატიულ წყაროთა როლი ეთნიკური თუ ნაციონალური ისტორიული და კულტურული მეხსიერებისა და იდენტობის ფორმირებისას, ისევე როგორც მათთან დაკავშირებული კონცეპტუალური მიდგომები ხშირად განიხილება თანამედროვე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში. პრეზენტაციაში ავტორი შეეცდება წარმოაჩინოს, თუ როგორ იქნა გამოყენებული (სახეცვლილი ან მითვისებული) გვიან ანტიკური და შუა საუკუნეების ნარატიულ წყაროთა სხვადასხვა მახასიათებლები ადგილობრივი ისტორიული მეხსირების შექმნისა და ეთნიკური იდენტობის ფორმირების პროცესში.

Abstract

Adaptation and Appropriation of Narrative Topoi and Identity Formation in Late Antique and Medieval Georgia

The role of the narrative sources in the formation of ethnic or national historical and cultural memory and identity and the ensuing concepts that are intrinsically tied to it have often been discussed and underscored in various works of contemporary scholars of humanities and social sciences. My presentation attempts to demonstrate how various topoi characteristic for the Late Antique and Medieval narrative sources have been adopted or appropriated while forming the local historical memory and shaping the ethnic identity.



ნესტან ჩხიკვაძე

ნესტან ჩხიკვაძემ 1986 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1982 წლიდან მუშაობს კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის კოდიკოლოგიისა და ტექტოლოგიის განყოფილებაში. ამჟამად არის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, სამეცნიერო საბჭოს წევრი, რესტავრაციის საბჭოს თავმჯდომარე.

მისი პროფესიული დაოსტატება უკავშირდება ცნობილ მეცნიერს, წერილობითი კულტურის მკვლევარს, აკადემიკოს ელენე მეტრეველს, რომლის ხელმძღვანელობითაც დაეუფლა ხელნაწერი წიგნის აღწერის, ტექსტების სამეცნიერო პუბლიკაციის, ხელნაწერი წიგნის კულტურულ-ისტორიულ კონტექსტში კვლევის საქმეს. 1992-1997 წლებში ინტენსიურად თანამშრომლობდა აპოკრიფული ლიტერატურის კვლევისა და გამოცემის ასოციაციასთან (AELAC), იყო მათი ორი კონფერენციის (1992 წ. დოლი, საფრანგეთი; 1995 წ. - ჟენევა-ლოზანა) მონაწილე.

1994 წელს დაიცვა საკვალიფიკაციო ნაშრომი თემაზე „ავგაროზის ეპისტოლის“ ქართული რედაქციები, რისთვისაც მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის/ფილოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1995 წელს სორბონის უნივერსიტეტის უმაღლესი სწავლების პრაქტიკული სკოლის მიწვევით წაიკითხა 4 ლექცია სასულიერო მწერლობის ქართულ თარგმანებზე. კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს შუა საუკუნეების სასულიერო მწერლობის ქართულ თარგმანთა რედაქციული თავისებურებები, აპოკრიფული მწერლობის ძეგლები, ქართულ ხელნაწერ წიგნთა საზღვარგარეთული კოლექციები.

2009 წელს შეადგინა საფრანგეთის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული კოლექციის ფრანგულენოვანი კატალოგი (იხ.: archivesetmanuscrits.bef.fr/cdc.html); 2014 წელს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერთა ჯგუფთან ერთად მუშაობდა სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართული ხელნაწერი კოლექციის მონაცემთა დაბუსტებაზე, 2017 წელს - ბერლინის

სახელმწიფო და ლაიფციგის უნივერსიტეტების ბიბლიოთეკების ქართულ ხელნაწერთა კოლექციებზე.

ნესტან ჩხიკვაძე 35 სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი და საერთაშორისო ფორუმების მონაწილეა (ლენინგრადი, ჟენევა-ლოზანა, თბილისი); 2008-2017 წლებში - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფარგლებში დაფინანსებული ოთხი საგრანტო პროექტის მონაწილე, ამათგან - ორის ხელმძღვანელი (2008-2010 წლებში: „ქართული ხელნაწერი წიგნი-ვებგვერდის შექმნა"; 2015-2017 წლებში - „ქართული ხელნაწერი წიგნი საზღვარგარეთ- ქართული და ინგლისურენოვანი მონოგრაფია").

Nestan Chkhikvadze

Nestan Chkhikvadze graduated from Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Philology, specialty – Georgian language and literature in 1986. Since 1982, Nestan Chkhikvadze works at K. Kekelidze National Center of Manuscripts of Georgia in the department of codicology and textology. At present, she is a chief scientist of the same Center, a member of the scientific board, chairperson of the restoration board.

Her professional development is connected with renowned scholar, researcher of the written culture, Academician Elene Metreveli, and under her guidance, she has mastered manuscript book description, scientific publication of texts, and its research within the cultural-historical context. In 1992-1997 she intensively cooperated with the Association of Apocryphal Literature Research and Publication, and was a participant of their two conferences (1992 Dole, France 1995 – Geneva-Lozana).

In 1994 she defended a qualification thesis on Georgian redactions of "Epistula Avgari", for which she was granted the scientific degree of Candidate of Philology/Doctor of Philology.

In 1995 on the invitation of practical school of higher teaching of Sorbonne University, she delivered 4 lectures on Georgian translations of theological literature. Main subject of her research is editorial peculiariarities of the Georgian translations of medieval theologian literature, monuments of apocryphal literature, and collections of Georgian manuscript books abroad.

In 2009 Nestan Chkhikvadze compiled the catalogue of the Georgian collection in the National Library of France in the French language (see: archivesetmanuscrits.bef.fr/cdc.html). In 2014 together with a group of scholars of the National Center of Manuscripts, she worked on specification of the data of the Georgian manuscript collection of St Catherine's Monastery on Mount Sinai; in 2017 – on the collections of Georgian manuscripts in Berlin State and Leipzig University libraries.

She is the author of 35 scientific publications, a participant of the international forums (Leningrad. Geneva-Lozana, Tbilisi); in 2008-2017 – a participant of four grant projects financed by the Rustaveli National Science Foundation, being head of two of them (2008-2010: "Georgian manuscript book - formation of the website"; 2015-2017: "Georgian manuscript book abroad, a monograph in Georgian and English").

თეზისი

ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკის უორდროპის ქართული კოლექცია
(ქართველოლოგიური კვლევის პერსპექტივები)

ოქსფორდის ბოდლეს ბიბლიოთეკის უორდროპის კოლექციის ხელნაწერი სიძველეების შესახებ ინფორმაცია ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის ძირითადად ცნობილია დევიდ ბარეტის აღწერილობით. ესაა პრაქტიკულად კოლექციის დღემდე არსებული ერთადერთი კატალოგი, რომელიც აღნუსხავს კოლექციის წერილობით-დოკუმენტურ სიძველეებსა და ქართულ კულტურასთან დაკავშირებულ ნაბეჭდ წიგნად ფონდს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ უორდროპის კოლექციის ჩამოყალიბებამდე ბიბლიოთეკაში შესულ 7 სასულიერო ხელნაწერს, რომელთა შესახებაც სამეცნიერო ინფორმაცია მე-20 საუკუნის დასაწყისიდანვე გახდა ცნობილი. დევიდ ბარეტის კატალოგი, პრაქტიკულად, ერთადერთი პუბლიკაციაა, რომელიც გვაწვდის ინფორმაციას კოლექციაში დაცული 210 ქართული წერილობითი სიძველის შესახებ. კატალოგის მიხედვით კოლექცია პირობითად ოთხ კატეგორიად უნდა დაჯგუფდეს:

1. ხელნაწერი წიგნები, 2. IXX-XX ს-ის სხვადასხვაენოვანი დოკუმენტები და იურიდიული შინაარსის აქტები, 3. ეპისტოლარული მემკვიდრეობა და ქართულ წერილობით სიძველეთა მარჯორი და ოლივერ ურდროპების მიერ შედგენილი კატალოგები და ფოტომასალა. ამ მასალაზე დაყრდნობით შესაძლებლობა გვექმნება კოლექციის ქართველოლოგიური კვლევები 3 მიმართულებით წარვმართოთ:

- ქართული სამწერლობო ტრადიციის ისტორია და მნიშვნელობა; ამ მხრივ კოლექცია შეიცავს VI-IXX სს-ის სასულიერო და საერო შინაარსის ხელნაწერებს, ორიგინალურ და ნათარგმნ ლიტერატურასა და ფოლკლორულ ჩანაწერებს.
- IXX-XX სს-ის საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების ისტორია, რომლის კვლევის საფუძველს ქმნის კოლექციაში დაცული ქართულ და რუსულენოვანი დოკუმენტები, ოლივერ უორდროპის მიერ შესრულებული ინგლისურენოვანი თარგმანები.
- საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისტორია, რომელიც ძირითადად აისახება კოლექციაში დაცულ ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში. კოლექციაში დიდი რაოდენობით წარმოდგენილი საარქივო-ეპისტოლარული მასალა ეხება მარჯორი და ოლივერ უორდროპების მიმოწერას ქართული საზოგადოების წარმომადგენლებთან, ბრიტანელ და სხვა ევროპელ მოღვაწეებთან.

ჩვენ მიერ გამოკვეთილი მიმართულებების რეალიზების უპირველეს ამოცანას კი, წარმოადგენს უორდროპის ფონდის წერილობით სიძველეთა სრული სამეცნიერო კატალოგის შედგენა, ყველა იმ უზუსტობის გასწორება, რომლებიც, სავსებით გასაგები და ბუნებრივი მიზეზების გამო, დაშვებულია ამჟამად არსებულ ბეჭდურ კატალოგში. მეორე და ასევე, მნიშვნელოვან ამოცანად გვესახება კოლექციაში არსებული IXX-XX სს-ის დოკუმენტების პუბლიკაცია სათანადო სამეცნიერო აპარატის დართვის გზით.

Abstract

Georgian Collection of Wardrop in Oxford Bodleian Library
(Perspectives of Kartvelological Studies)

Information on the manuscript antiquities of the Wardrop collection in the Oxford Bodleian Library has mostly been known to the Georgian scientific circles by the description of David Barrett. This is practically the only catalogues existing by today, which records written-documentary antiquities of the collection and printed book fund connected with the Georgian culture. If we don't take into consideration 7 theologian manuscripts being in the library before formation of the Wardrop collection, the scientific information about which has been known to the scientific circles at the very beginning of XX century, David Barrett's catalogue practically is the only publication, which delivers to us the information about the Georgian written antiquities preserved in the collection. According to the catalogues the collection should be conventionally grouped into four categories: 1. Manuscript books; 2. XIX-XX cc documents and legal acts in different languages; 3. Epistolary heritage and catalogues and photo material of the Georgian written antiquities compiled by Marjory and Oliver Wardrops. Based on this material it will become possible to conduct the Kartvelological studies of the collection in 3 directions:

1. Georgian literary history and importance: in this regard the collection involves the VI-XIX cc manuscripts of theological and secular content, original and translated literature and folk records.
2. History of the political relations of the XIX-XX cc Georgia, the basis for the research of which is formed by the documents in the Georgian and Russian languages preserved in the collection, Wardrop's English translations.
3. History of public relations, which is mainly reflected in the epistolary heritage preserved in the collection. Numerous archive-epistolary material of the collection concerns correspondence of Marjory and Oliver Wardrops both with the representatives of the Georgian society, with other British and European figures.

The primary task for realization of the directions we have outlined is to compile full scientific catalogue of the written antiquities of the Wardrop fund, correction of all the inaccuracies, which due to fully understandable and natural reasons, are made in the now available printed catalogue. Second and also important task, in our opinion, is publication of the XIX-XX century documents of the collection to be supplied with the relevant scientific apparatus.

კონსტანტინე ერისთავი

კონსტანტინე ერისთავმა 2006 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი მაგისტრის ხარისხით. აქვს ედინბურგის უნივერსიტეტის მაგისტრისა (2011) და დოქტორის (2016) ხარისხები. მუშაობდა ლექტორად საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში და იყო მიწვეული მკვლევარი ბერლინის ფრაი უნივერსიტეტში. ამჟამად არის მიწვეული მკვლევარი ოქსფორდის უნივერსიტეტის ინტერდისციპლინური კვლევების სკოლაში. გარდა ამისა, არის გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.

მისი კვლევის სფეროებია: ადამიანის უფლებების თეორია, სამართლის კრიტიკული თეორია, პოლიტიკის თეორია, კრიმინოლოგია და პოსტ-საბჭოთა ტრანსფორმაციები.

კონსტანტინე ერისთავი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის მფლობელია. პროექტი დაფინანსდა 2017 წლის ოქსფორდის უნივერსიტეტისა და ფონდის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი კვლევითი პროგრამის ფარგლებში.

Konstantine Eristavi

Konstantine Eristavi earned his BA and MA in Law from Ivane Javakhishvili Tbilisi State University in 2006, and LLM and PhD in Human Rights Theory in 2011 and 2016, respectively, from the University of Edinburgh. He worked as a Visiting Lecturer at different universities in Georgia and was a Visiting Scholar at Freie Universität Berlin. Currently, he is a Visiting Postdoctoral Researcher at the School of Interdisciplinary Area Studies at the University of Oxford. He is also an Assistant Professor at Grigol Robakidze University.

His research interests include human rights theory, critical legal theory, political theory, criminology and post-Soviet transformations.

Konstantine Eristavi is the grant holder of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Project was supported by SRNSFG in frame of the 2017 Joint Research Programme of the University of Oxford and SRNSFG in Georgian Studies.

თეზისი

საქართველოში ადამიანის უფლებების შელახვის მიზეზები: შემთხვევითობა თუ აუცილებლობა?

მოხსენებაში ვისაუბრებ და გავაკრიტიკებ გარდამავალი სამართლიანობის დისკურსისა და პრაქტიკის ფარგლებში სააკაშვილის მმართველობის დროს გამოვლენილი ადამიანის უფლებების დარღვევებისადმი არსებულ მიდგომებს.

ვეცდები, ვაჩვენო, რომ ადამიანის უფლებების დამცველების მხრიდან უფლებების დარღვევის მიზეზებად დაუდევრობის, ზედამხედველობის ნაკლებობისა თუ პოლიტიკური ნების არარსებობის წარმოჩენა, ისევე როგორც გარდამავალი სამართლიანობის რეალიზებისთვის მთავარ ინსტრუმენტად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამოყენება, უფლებების დარღვევის ფაქტს შემთხვევითობად ასაღებს.

მნიშვნელოვანია განსხვავების გაკეთება, ერთი მხრივ, ამგვარი შემთხვევითობით და, მეორე მხრივ, არსებული წყობის შინაგანი ლოგიკისა და შეზღუდვების გამო აუცილებლობით გამოწვეულ უფლებების დარღვევას შორის. განვიხილავ სამ ერთმანეთთან დაკავშირებულ თეორიას სხვადასხვა ტიპის სისტემური შეზღუდვების შესახებ, რომელსაც შესაძლებელია, სწორედ ამგვარი აუცილებლობით გამოეწვია უფლებების შელახვის ფაქტები. ეს არის თეორიები ლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკასა და სახელმწიფოს რეპრესიული აპარატის გაძლიერებას შორის ურთიერთკავშირის შესახებ.

ჩემი მიზანი არის არა აღნიშნული თეორიების სისწორის მტკიცება, არამედ ადამიანის უფლებებისათვის მებრძოლი ასო-ებისა და აქტივისტების მხრიდან, ისევე როგორც სისხლის სამართლის სისტემის მიერ უფლებების დარღვევების ისეთი ფორმულირებების კრიტიკა, რომელიც, სისტემური შეზღუდვების შემთხვევაში, შესაძლებელს ხდის ამ შეზღუდვების იგნორირებას და, შესაბამისად, დეპოლიტიზებას. ამგვარი დეპოლიტიზება კი, უზრუნველყოფს ამ სისტემური ლოგიკის კვლავ წარმოებას და ხელს გვიშლის, კრიტიკულად გავაანალიზოთ სახელმწიფოს მხრიდან წარმოებული რეპრესიული პოლიტიკის უწყვეტობისა და მისი ინტენსიფიკაციის მიზეზები.

Abstract

Questioning the Contingency of Human Rights Violations in Georgia

In the presentation I will discuss and criticise the ways in which the issue of human rights violations under Saakashvili's government has been approached in the discourse and the practice of transitional justice in Georgia.

Noting the general tendency of rights-talk to naturalise the structural forces which create the need for rights in the first place, I will illustrate how the sole emphasis by human rights advocates on oversight, the lack of acccountability, or the absence of political will as the causes of rights violations, as well as, the use of criminal punishment as the main instrument for the realisation of transitional justice, present rights violations as contingent.

This distinction between the inherent logics of the extant order, which necessarily lead to rights abuses, and the alleged contingency of such abuses, will be crucial for my argument. In particular, I will discuss the recently advanced three seperate, but interrelated, theories that help us to illuminate such inherent logics and systemic constraints. These theories examine: how the implementation of a particular economic project necessitated the deployment of repressive informal practices in the governance of the economy; how particular criminal justice policies in post-revolutionary Georgia necessarily led to the incorporation of repressive informal practices in the criminal justice system; and a general theory of the correspondence between the implementation of liberal economic policies and the growth of the penal state.

Without defending the accuracy of either of these arguments, I will question the framing of human rights violations by human rights NGOs and activists, as well as, by criminal justice actors in order to suggest that treating rights violations as contingent occurances risks depoliticising, and hence reproducing, the possible systemic determinants of those violations, leaving us short of critical tools to explain the perserverance or expansion of the repressive apparatus of the state.



ნუცა ბათიაშვილი

ნუცა ბათიაშვილი არის თავისუფალი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი და სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი. ასწავლის კურსებს ანთროპოლოგიის, კოგნიტური მეცნიერებების, კულტურული ფსიქოლოგიის, პოლიტიკური ისტორიისა და კულტურის კვლევების მიმართულებით. ფსიქოლოგიაში ბაკალავრისა (2004) და მაგისტრის (2006) ხარისხები მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო დოქტორის ხარისხი (2014) - ანთროპოლოგიაში ვაშინგტონის უნივერსიტეტში (სენტ ლუისი).

2016-2017 წლებში, პოსტდოქტორის მკვლევრის სტატუსით იმყოფებოდა ოქსფორდის უნივერსიტეტში, სადაც დაასრულა მუშაობა წიგნზე „ბივოკალური ერი: მეხსიერება და იდენ-ტობა იმპერიის მიჯნაზე". წიგნი, რომელიც გამოიცა 2018 წელს საერთაშორისო გამომცემ-ლობა პალგრეივის მიერ, გაყოფილ და პოლარიზებულ ერზეა და ცდილობს ახსნას პოლარიზა-ცია და კონფლიქტი, როგორც კულტურულად განპირობებული წარმოსახვის ფორმები.

მისი ახლანდელი კვლევითი ინტერესები რამდენიმე დისციპლინის გადაკვეთაზე ხვდება, მათ შორის კულტურული ანთროპოლოგიის, მეხსიერების კვლევების და რასაც ფართოდ კოგნიტური მეცნიერებები შეგვიძლია ვუწოდოთ, განსაკუთრებული ფოკუსით პოლიტიკურ კოგნიციაზე.

ნუცა ბათიაშვილი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის მფლობელია. პროექტი დაფინანსდა 2015 წლის ოქსფორდის უნივერსიტეტისა და ფონდის «საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების» ერთობლივი კვლევითი პროგრამის ფარგლებში.

Nutsa Batiashvili

Nutsa Batiashvili is an Associate Professor in social sciences and the Dean of the Graduate School at the Free University of Tbilisi. She teaches courses in Anthropology, Cognitive Sciences, Cultural Psychology, Political History and Cultural Studies. She has an undergraduate (2004) and MA (2006) degrees in Social Psychology and a PhD (2014) in Anthropology from Washington University in St. Louis. In 2016-2017 she was a postdoctoral fellow at the University of Oxford, School of Interdisciplinary Area Studies. Her book, published by Palgrave Macmillan in 2018 „The Bivocal Nation: Memory and Identity on the Edge of Empire" is about a divided nation and polarized nationhood, and its principal purpose is to explain division and polarization as a form of imagining that is configured in the culture and framed by historicity and is inherent, especially to the societies wrecked by traumatized experiences.

Her current research is situated at the intersection of cultural anthropology, interdisciplinary memory studies, and what can be broadly termed as cognitive studies with a special emphasis on the processes involved in political cognition.

Nino Batiashvili is the grant holder of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Project was supported by SRNSFG in frame of the 2015 Joint Research Programme of the University of Oxford and SRNSFG in Georgian Studies.

თეზისი

ჩვენს შორის უცხო: გაყოფილი ერი და პოლიტიკური წარმოსახვა

„სიუცხოვე ერთობის აუცილებელი მედიუმია" წერდა მაიკალ ვორნერი იმის აღსანიშნად, რომ ნებისმიერი ჯგუფის შიგნით, პუბლიკებსა და კონტრპუბლიკებს შორის დაძაბულობა კოლექ-ტიური წარმოსახვისთვის თანმდევი რამაა (Warner 2002). ამ იდეის ერთგვარი გაგრძელებაა ეს ნაშრომი, სადაც შევეცდები ვაჩვენო, რომ ნაციონალური რიტორიკა თავის თავში მოიცავს უცხოობისა და განსხვავებულობის წარმოჩენას, რომელიც კოლექტიური თვითწარმოდგენისა და თვითწარმოსახვის გარკვეული ფორმაა. აქ წარმოდგენილი სხვადასხვა ეთნოგრაფიული მაგალითები მოგვცემს საშუალებას ეროვნულობის იდეა გავიაზროთ ისეთ ჭრილში, რომელიც სცდება ერის ანდერსონისეულ გაგებას, როგორც „ჰორიზონტალური თანამეგობრობისა, რომელიც კონსესუსზე და მსგავსებაზე არის დაფუძნებული და ამის სანაცვლოდ ვიმსჯელოთ გახლეჩილობაზე, პოლარიზაციაზე, კონფლიქტსა და დანაწევრებაზე, როგორც კოლექტიური წარმოსახვის გარკვეულ ფორმებზე, რომელიც კულტურული კონფიგურაციებისა და ისტორი-ული წინაპირობების შედეგია.

Abstract

Strangers Among Us: Divided Nation and Political Imagination

„Strangehood" wrote Michael Warner „is a necessary medium of commonality" (Warner 2002), with that suggesting that the tension between publics and counterpublics is inherent to any kind of collective imagination. Building on this idea, here I will try to show the ways in which describing self in terms of strangehood and otherness, is a perpetual dimension of the national rhetoric. The point I will emphasize using different ethnographic examples suggests a different approach to the idea of the nationhood, one that departs from Andersonian (1983) understanding of a nation as a „deep horizontal comradeship" build on consesus and commonality and instead makes sense of division and polarization, conflict and friction as part of the imagining that is configured in the culture and framed by historicity.

ანასტასია ქიტიაშვილი

ანასტასია ქიტიაშვილი არის ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (2008 წლიდან). მან მიიღო დოქტორის ხარისხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო მაგისტრის ხარისხი - კვლევის განხრით, ედინბურგის უნივერსიტეტში. მას აქვს 15 წელზე მეტი მუშაობის გამოცდილება ფსიქოლოგიის, კვლევისა და განათლების სფეროში. 2007 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსა გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის ახალი მიმართულება; ანასტასია ქიტიაშვილი ხელმძღვანელობს გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს. მიწვეულ მკვლევრად ის იმყოფებოდა ლოზანის (2010), ცენტრალური ევროპის (2007, 2011), კოიმბრას (2016), ბათის უნივერსიტეტებში (2017), სადაც ჩაატარა კვლევები სხვადასხვა სოციალურ-ფსიქოლოგიურ საკითხზე.

სხვადასხვა დროს, ანასტასია ქიტიაშვილი მუშაობდა საერთაშორისო ორგანიზაციებში (EUD, მსოფლიო ბანკი, ETF, MCA, UNDP და სხვა) ექსპერტ-კონსულტანტის პოზიციაზე; მისი ექსპერტიზის სფეროებია განათლების რეფორმები, ტენდენციები და განვითარება საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებში, შრომის ბაზრის სისტემები და ინსტიტუტები საქართველოსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, მოწყვლადი ახალგაზრდები, მტკიცებულებაზე დამყარებული სოციალური ინტერვენციებისა და პოლიტიკის ჩამოყალიბება და სხვა.

ანასტასია ქიტიაშვილი 20-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორია, რომლებიც შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა განწყობასა და ქცევას შორის კავშირი განათლებისა და ჯანმრთელობის სფეროებში, სოციალური იდენტობა, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლები, სიღარიბის გამოცდილება ოჯახებთან და ბავშვებთან, სიღარიბის დაძლევის სტრატეგიები და ა.შ.

ანასტასია ქიტიაშვილი არის თსუ-ის აკადემიური საბჭოსა (2016 წლიდან) და პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის საზოგადოების (2012 წლიდან) წევრი.

ანასტასია ქიტიაშვილი 2016 წლის ოქსფორდის უნივერსიტეტისა და შოთა რუსთაველის ფონდის «საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების» ერთობლივი კვლევითი პროგრამის კონკურსში მონაწილეობდა.

Anastasia Kitiashvili

Anastasia Kitiashvili is an Associate Professor at the Faculty of Psychology and Educational Sciences in Tbilisi State University (since 2008); she received her Ph.D. degree from the same university and an MSc by Research in Psychology from the University of Edinburgh, UK. She has more than 15 years' experience in the field of Psychology, Research & Education. She founded a new direction of the Applied Social Psychology at Tbilisi State University in 2007. She is a head of MA and PhD programs in Applied Social Psychology. As a post-doctoral researcher, she visited the university of Lausanne (2010), Central European University (2007, 2011), University of Coimbra (2016), University of Bath (2017) to carry out her research on various social-psychological issues.

At different times, Anastasia worked as a senior consultant/expert with international organizations (EUD, World Bank Institute, ETF, MCA, UNDP, etc.) to examine, amongst other issues reforms, trends and developments in education in Georgia and in EU; labour market systems and institutions in Georgia and post-soviet countries, vulnerable youth, development of evidence-based social interventions and policy and etc.

She is an author of more than 20 publications on the issues like attitude-behavior relationships in education and health spheres, social identity, social-psychological characteristics of various social groups, experience of poverty and poverty reduction strategies of household and children and etc.

She is a member of the Academic Council of the TSU (since 2016) and a Society of Personality and Social Psychology (since 2012).

Anastasia Kitiashvili is an applicant of the 2016 Joint Research Programme of the University of Oxford and SRNSFG in Georgian Studies

თეზისი

"მე ღარიბი ვარ " - სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების გამოცდილება საქართველოში

კვლევები ცხადყოფს, რომ სიღარიბე უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე. სიღარიბე არის მასტიგმატიზებელი სოციალური სტატუსი, რომელიც ხშირად იწვევს სოციალური კონტაქტების შემცირებას, სოციალურ იზოლაციასა და საზოგადოებისგან გარიყვას. სიღარიბე საქართველოსთვის ერთ-ერთი მწვავე სოციალური პრობლემაა. თუმცა, სიღარიბის დაძლევის სტრატეგიების დაგეგმვისას არ გამოიყენება კვლევები, რომლებიც ასახავს სიღარიბეში მცხოვრები ოჯახების განწყობებსა თუ გამოცდილებას; არ არსებობს უშუალოდ ბავშვებთან ჩატარებული კვლევებიც.

ამ კვლევის მიზანი იყო სიღარიბის გავლენის კვლევა ბავშვებში, მათი იდენტობისა და სოციალური გამოცდილებების შესწავლა. თვისებრივი ინტერვიუები ჩატარდა 12-17 წლამდე ასაკის 40 მოზარდთან (22 გოგონა და 28 ბიჭი) თბილისში, სპეციალურად შედგენილი ინსტრუმენტის გამოყენებით. ყველა ბავშვი ცხოვრობდა სოციალური მომსახურების სააგენტოში რეგისტრირებულ ოჯახებში, რომლებიც სახელმწიფოსგან იღებდნენ ფულად სოციალურ დახმარებას. კვლევაში დაცული იყო საერთაშორისო ეთიკის ყველა ნორმა.

კვლევით გამოვლინდა ბავშვთა ყოველდღიურ ცხოვრებაზე სიღარიბის მრავალმხრივი ნეგატიური ზეგავლენა: მატერიალური და სოციალური დეპრივაცია; ღარიბად თვითაღქმასთან დაკავშირებული შიშის, სისუსტის, შფოთვისა და სირცხვილის განცდები, სოციალური გარიყვა და სხვა მასტიგმატიზებელი გამოცდილება. სიღარიბე ბავშვების იდენტობის ნაწილია, რასაც ერთმნიშვნელოვნად უარყოფითად აფასებენ. მათ ნარატივში იკვეთება აღქმული სტიგმის, დისკრიმინაციის შემთხვევები. ბავშვებს აქვთ დაბალი თვითშეფასება და ეშინიათ დაცინვის ან გარიყვის. ბავშვები კლასელებისგან დისტანცირებულად განიცდიან თავს. ერთ საკლასო გარემოში მყოფი მოსწავლეები, სხვადასხვა სოციოეკონომიკური სტატუსის ჯგუფის წევრებად აღიქვამენ ერთმანეთს, რაც მათ შორის კომუნიკაციას და კავშირების დამყარებას ართულებს.

ბავშვების უმრავლესობა სიღარიბესთან გამკლავების სხვადასხვა სტრატეგიას იყენებს, როგორებიცაა, მაგალითად, ფინანსების დაზოგვა ტანსაცმელზე და მათ საჭიროებებზე, ოჯახისათვის ფინანსური დახმარების მიზნით სამუშაოს ადრე დაწყება ან მშობლებთან ერთად სამუშაოს გაზიარება.

სიღარიბეში მცხოვრები ბავშვები იმედით უყურებენ მომვალს და აქვთ ოცნებები, თუმცა არ იციან როგორ მიაღწიონ მათ.

საკვანძო სიტყვები: ბავშვთა სიღარიბე, სოციალური იდენტობა, სტიგმა, დაძლევის სტრატეგიები.

Abstract

Studies show that poverty has a negative impact on the cognitive, emotional, and social development of children (Ridge, 2009; Atree, 2006). Poverty is a stigmatized social position associated with reduced social contacts and creates a threat to social isolation or exclusion. Poverty is one of the severe social problems in Georgia. However, poverty reduction strategies do not use evidence collected from families who experience poverty in their everyday life. Voice of the children who live in poverty has not studied yet.

This study aimed to explore effects of poverty on children's everyday life including social identity and social experience. The qualitative interviews were conducted with 40 children aged 12-17 (22 girls and 28 boys) in Tbilisi. All children lived in families registered with the Social Service Agency who received social assistance from the government. All international ethical standards were met.

The study demonstrated the various negative impacts of poverty on children's daily life, such as material or social deprivation; Poverty is a part of the social identity of children that is related to a sense of fear, weakness, anxiety, and shame. In children's narratives, there are cases of perceived stigma and discrimination. Children have low self-esteem and are afraid of bullying or social exclusion. Children are distant from their classmates. They have limited contact and communication with their classmates.

Most children use different strategies to deal with poverty, such as saving money on clothes or start working at early age to get financial support for their families or share a job with their parents. Children living in poverty have hopes and aspirations for their future but they lack knowledge of how to achieve their ambitions.

Keywords: children's poverty, social identity, stigma, overcoming strategies

ლია წულაძე

ლია წულაძე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი და სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის აღმასრულებელი დირექტორია. ის ოცზე მეტი პუბლიკაციის, ორი წიგნისა და ორი სახელმძღვანელოს ავტორია. მისი კვლევითი ინტერესი საქართველოს ევროპეიზაციას ეხება და ამჟამად ის ხელმძღვანელობს პროექტს სახელწოდებით „ევროპეიზაციის შესახებ დისკურსები ვიზალიბერალიზაციის შემდგომ საქართველოში" (2018 - 2020, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით). მისი წინა კვლევითი პროექტი (2015-2016, ნორვეგიის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის მხარდაჭერით) ყურადღებას ამახვილებდა ევროპეიზაციის გავლენაზე სამოქალაქო კულტურის განვითარებაზე საქართველოში, განსაკუთრებული აქცენტით გარემოსდაცვით სამოქალაქო ჩართულობაზე და მის წინაშე არსებულ გამოწვევებზე. კვლევის შედეგები აისახა სტატიაში „SOS თბილისი: გარემოსდაცვითი სამოქალაქო აქტივიზმის გამოწვევები საქართველოში" (წულაძე და სხვ., პოსტკომუნიზმის პრობლემები, 64 (3), 2017).

კიდევ ერთი ბოლოდროინდელი პროექტი ლიას ხელმძღვანელობით, რომლის შედეგებიც ორენოვან წიგნშია ასახული, ეხებოდა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ევროპეიზაციის შესახებ პოლიტიკურ და პოპულარულ დისკურსებს საქართველოში.

მისი კვლევა პოსტდოქტორანტურის ფარგლებში (წმ. ანტონის კოლეჯი, ოქსფორდის უნივერსიტეტი, 2013-14) ყურადღებას ამახვილებდა ქართველების პოპულარულ დისკურსებზე ეროვნული იდენტობის შესახებ ევროპეიზაციის კონტექსტში (კვლევის შედეგები გამოქვეყნდა სტატიის სახით „ევროპეიზაციის, ეროვნული სენტიმენტებისა და ამბივალენტური იდენტობ-ების შესახებ საქართველოში," კომუნისტური და პოსტკომუნისტური კვლევები, 50 (2), 2017).
მისი კროსკულტურული კვლევა, ჩატარებული 2011-12 წლებში ფოლკსვაგენის ფონდის მხარდაჭერით, ეხებოდა ახალგაზრდების შეხედულებებს ევროპეიზაციის შესახებ აღმოსავლეთ გაფართოების ქვეყნებსა (პოლონეთის და რუმინეთის შემთხვევები) და მათ მოსაზღვრე რეგიონებში (საქართველოს შემთხვევა). კვლევის შედეგები აისახა სტატიაში „დასავლური წარმოსახვა და თავდაცვის წარმოსახვითი სტრატეგიები აღმოსავლეთ ევროპასა და მოსაზღვრე რეგიონებში" (CEJISS, 7 (4), 2013). 2016 წელს ამ სტატიამ მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საუკეთესო კვლევისთვის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების სფეროში.

Lia Tsuladze

Lia Tsuladze is an Associate Professor of Sociology, Faculty of Social and Political Sciences, Tbilisi State University and an Executive Director of the Center for Social Sciences. She is the author of more than 20 publications, 2 books and 2 textbooks. Her research interest relates to Georgia's Europeanisation and currently she is leading a project "The Post-Visa Liberalization Discourses on Europeanization in Georgia" (2018-20, supported by SRNSFG). Her recent research project (2015-16, supported by Norwegian Institute of International Affairs) explored the impact of Europeanisation on the development of civic culture in Georgia with a special

focus on environmental civic participation and its challenges in Georgia. The project resulted in a paper "SOS Tbilisi: Challenges to Environmental Civic Participation in Georgia" (Tsuladze et al., published in Problems of Post-Communism, 64 (3), 2017). Another recent research project led by Lia (2014-16, supported by ASCN) that resulted in a two-language book deals with political and popular discourses on Europeanisation in Georgia after signing the EU Association Agreement. Her former research within her Post-Doctoral fellowship at St. Antony's College, University of Oxford (2013-14) focused on Georgians' popular discourses of national identity in the context of Europeanisation (resulted in a paper "On Europeanisation, National Sentiments and Confused Identities in Georgia," Communist and Post-Communist Studies, 50 (2), 2017). Her comparative research supported by Volkswagen Foundation in 2011-12 dealt with young people's perceptions of Europeanisation in the Eastern Enlargement countries (the cases of Poland and Romania) and their borderlands (the case of Georgia). The research resulted in the paper "Western Imaginary and Imagined Defence Strategies of Eastern Europe and its Borderlands" (CEJISS, 7 (4), 2013). In 2016, this paper was awarded I. Javakhishvili Prize for the Best Research of TSU Faculty in Social and Political Sciences.

თეზისი

SOS თბილისი: გარემოსდაცვითი სამოქალაქო აქტივიზმის ძირითადი გამოწვევა საქართველოში

ნაშრომში განხილულია საქართველოში გარემოსდაცვითი აქტივიზმის ორი ბოლოდროინდელი შემთხვევა, რომელთა მიზანია დედაქალაქში საჯარო სივრცის დაცვა: ვაკის პარკის და „პანორამა თბილისის" შემთხვევები. ავტორი აღწერს სამოქალაქო აქტივისტების ბრძოლას „ქალაქის გენოციდის" თუ „ურბოციდის" წინააღმდეგ და იმ ძირითად გამოწვევას, რომელსაც ამ ბრძოლისას აწყდებიან. მონაცემების მოპოვებისა და ანალიზისთვის, თვისებრივი კვლევის რამდენიმე მეთოდი იქნა გამოყენებული: გაანალიზდა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, რათა შეფასებულიყო საკანონმდებლო ღიაობა ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეების მონაწილეობის მიმართ; შერჩეული ელექტრონული მედიიდან განხორციელდა წარმოდგენილ ორ შემთხვევასთან დაკავშირებული ყველა სტატიის კონტენტ-ანალიზი; და ბოლოს, ჩატარდა ოთხი ფოკუს ჯგუფი: ორი მათგანი სამოქალაქო აქტივისტებთან, რომელთაც ვაკის პარკისა და „პანორამა თბილისის" პროექტების წინააღმდეგ საპროტესტო აქციების ინიცირება მოახდინეს და ყველაზე აქტიურად იყვნენ მათში ჩართულნი, დანარჩენი ორი ფოკუს ჯგუფი კი - ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან (წინა და არსებული ხელისუფლებიდან), რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ აღნიშნულ პროექტებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული შემთხვევების განვითარების კურსი და შედეგები განსხვავებულია, ისინი მიუთითებენ საქართველოში გარემოსდაცვითი სამოქალაქო ჩართულობის წინაშე არსებულ იდენტურ გამოწვევაზე. ეს უკანასკნელი გამოიხატება ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგობაში, რომ გარე აქტორები გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართონ, იყენებენ რა სამოქალაქო აქტივიზმის პოლიტიზირებისა და აქტივისტების პოლიტიკური ოპოზიციის მხრიდან მართულებად წარმო-ჩენის სტრატეგიას, რათა ფართო საზოგადოების თვალში მათი დისკრედიტაცია მოახდინონ. რაც შეეხება სამოქალაქო აქტივისტებს, მართალია, ისინი აღიარებენ მათი აქტივობების შესაძლო პოლიტიკურ შედეგებს, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს „არაპარტიული პოლიტიკური აქტივიზმია," რომელიც მიზნად ისახავს, წინააღმდეგობა გაუწიოს „კაპიტალისა და ბეტონის ბატონობას." ამგვარად, ეკოლოგიური და ეკონომიკური ხედვების შეჯახებისას, სამოქალაქო აქტივისტები და ხელისუფლების წარმომადგენლები ორ საპირისპირო პოზიციაზე დგანან: აქტივისტები ცდილობენ იმ დღის წესრიგის გატარებას, რასაც ჰარპერი „პოსტსოციალისტურ პოლიტიკურ ეკოლოგიას" (2006) უწოდებს, ხელისუფლების წარმომადგენლები კი, მათი ინიციატივების იგნორირებას ახდენენ, „ხელახლა იგონებენ კანონმდებლობას," რათა აქტივიზმს ხელი შეუშალონ და აქტივისტებს პოლიტიკურად მიკერძოებულის იარლიყს აკერებენ. კვლევა აჩვენებს, რომ გარემოსდამცველი აქტივისტებისადმი მსგავსი მიდგომა როგორც წინა, ისე არსებული ხელისუფლების წარმომადგენლების დამახასიათებელი ნიშანია.

Abstract

SOS Tbilisi: A Top-down Challenge to Environmental Civic Activism in Georgia

The paper discusses two recent cases of environmental activism in Georgia aiming at protecting public space in the capital city: The cases of Vake Park and "Panorama Tbilisi." The author describes the environmental activists' struggle against "urban genocide" or "urbocide" and the main top-down challenge they encounter in this process. For the purpose of analysis the following methods of qualitative research have been combined: The analysis of Local Self-Government Code of Georgia to assess the legislative openness to public involvement in local governance, content analysis of all related articles on the two cases from selected online media, and finally, four focus group discussions: two of them with the activists who initiated and were most actively involved in the protest against the Vake Park and "Panorama Tbilisi" projects, and two focus groups with the local self-government authorities (of the former and current governments) directly responsible for the official decisions related to these projects.

Although the abovementioned cases are characterized by distinct lifecycles and levels of policy success, they still point to the same top-down challenge to environmental civic participation in Georgia, which results from the government officials' reluctance to involve outside actors in decision-making processes, using the strategy of politicizing civic activism and portraying activists as controlled by the officials' political opponents in order to discredit them in the eyes of the public. As for civic activists, they do recognize the political implications of their activity though classify it as a "non-partisan political activism" that, in their words, aims to resist "the power of capital and concrete." Thus, in this clash between ecological and economic considerations, civic activists and authorities take two opposing stances: While the activists promote what Harper calls "postsocialist political ecology" (2006), the government authorities ignore their initiatives, "reinvent legislation" to prevent their activism, and label them as politically biased. The evidence shows that such an approach to environmental activists has been common to both former and current government officials.

ქეთევან გურჩიანი

ქეთევან გურჩიანმა უმაღლესი განათლება მიიღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (საქართველო) და ფრაიბურგის ალბერტ-ლუდვიგის უნივერსიტეტში (გერმანია) კლასიკური ფილოლოგიის და სიძველეთა კვლევების მიმართულებით. 1999 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ანტიკური თეატრისა და რელიგიის ურთიერთმიმართების თემაზე. მოგვიანებით, რელიგიის კვლევებმა მისი ინტერესი თანამედროვეობას დაუკავშირა და ამჟამად იგი იკვლევს და ასწავლის კულტურულ და სოციალურ ანთროპოლოგიას. ანთროპოლოგიაში სპეციალიზება მისთვის შესაძლებელი გახდა St. John's College-ში (ოქსფორდი), ლოს ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტში, კოლუმბიის უნივერსიტეტსა და ნიუ-იორკის უნივერსიტეტში მიწვეულ მკვლევრად ყოფნის პერიოდში. 2013 წლიდან 2017 წლამდე ნიუ-იორკის უნივერსიტეტის (NYU) მიწვეული მკვლევარი იყო. ქეთევან გურჩიანი ხელმძღვანელობს სამწლიან კვლევით პროექტს: „რელიგიურობა ქართველ ახალგაზრდებში". გარდა რელიგიურობისა, ის იკვლევს და ასწავლის გმირობისა და ღირსების გაგების კულტურულ სპეციფიკას. მისი ინტერესების სფეროა პოსტსაბჭოთა კვლევები და საბჭოთა ჰაბიტუსი ყოველდღიურობაში.

ქეთევან გურჩიანი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის მფლობელია. პროექტი დაფინანსდა 2015 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის ფარგლებში.

Ketevan Gurchiani

Ketevan Gurchiani studied classics at Tbilisi State University in the Republic of Georgia and at the Albert-Ludwigs University in Germany. She defended her dissertation on ancient Greek religion and theatre. Her interests in religion have since taken her to contemporary societies and issues. Her shift to cultural anthropology has been sponsored by generous scholarships held at St. John's College Oxford, UCLA, Columbia and New York University (NYU). Ketevan Gurchiani is mostly interested in studying different aspects of religiosity with special focus on everyday religion. Currently she is working on religiosity among young Orthodox Georgians within Georgia and beyond. Since 2015 she is head of a three-year project researching everyday religion funded

by Rustaveli National Science Foundation. Her interests broadly focus on everyday life and how it is informed by the post-Soviet and Soviet habitus. She also explores and teaches the culturally specific understanding of heroism and dignity.

Ketevan Gurchiani is the grant holder of Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Project was supported by SRNSFG in frame of the 2015 Call for Basic Research State Grants.

თეზისი

საქართველო როგორც შუალედური სივრცე

მოხსენების მიზანია, სამწლიანი კვლევის შედეგების მოკლედ შეჯამება და რელიგიის წარმოჩენა ყოველდღიურობაში, როგორც საერთო ჰიბრიდულობის ნაწილის. მოხსენების მეორე ნაწილი დაეთმობა კონკრეტული კვლევის წარმოჩენას. ამ კვლევაში ავტორი სივრცული პერსპექტივიდან უყურებს რელიგიურობას ყოველდღიურობაში. ედვარდ სოჯას „მესამე სივრცის" თეორიული ინსტრუმენტის გამოყენებით სტატია აანალიზებს სივრცეს, როგორც ახლის წარმომქმნელ აქტორს. ამ კვლევაში „მესამე სივრცე" ასევე, გამოიყენება, როგორც მეტაფორა ანალიზისთვის, რომლითაც შუალედურობაზე, ჰიბრიდულობაზე მსჯელობა შესაძლებელი ხდება. ყოველდღიური რელიგიურობის გასაანალიზებლად შერჩეულია საჯარო სკოლა. სკოლა, როგორც სახელმწიფოს მიერ სეკულარულად ჩაფიქრებული ადგილი და კანონით გასაზღვრული სივრცე, რელიგიას თავისებურად იყენებს. ახალგაზრდების ყოველდღიურობა რელიგიურს, ეროვნულს, გლობალურსა და ლოკალურს ერთმანეთს უზავებს. ისინი ერთდროულად ახერხებენ ყოველდღიურობაში ეროვნულობის პერფორმანსსაც და გლობალურის ნაწილად ყოფნასაც. სკოლის სივრცე, ახალგაზრდების რიტორიკა, ისევე როგორც სახელმწიფო სიმბოლიკა და რელიგიური პრაქტიკები ერთ მყარ ნიშნამდე არ დაიყვანება. ყველა სივრცე და აქტორი ერთიანად ჰიბრიდულობით აღბეჭდილია.

Abstract

Georgia in-between: religion and everyday hybridity

The talk will shorty summarize the findings of the research project. It will focus on a study about religion in public schools. Based on ethnographic fieldwork in a Georgian village and supplemented by a range of interviews and observations from different parts of Georgia, this paper explores the creative presence of religion in public schools. In 2005 and in line with the strong secularization and modernization discourse, the Georgian parliament passed a new law on education, restricting the teaching of religion in public schools and separating religious organizations and public schools; nevertheless, mainstream Orthodox Christianity is widely practiced in schools. The paper aims to show how Georgians use religious spaces in secular institutions to practice their identity, to perform being "true Georgians." At the same time, they are adopting a strong secularization and modernization discourse. By doing so they create a new space, a third space, marked by in-betweenness. The study uses the theoretical lens of Thirdspace for analyzing the hybridity, the in-betweenness of practices and attitudes inherent for politics, religion, and everyday life of Georgians.

ბუბა კუდავა

ბუბა კუდავა ისტორიის დოქტორია. მან დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი (1995). იგი მუშაობდა ამავე უნივერსიტეტში, ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრსა (1994-2006) და საქართველოს ისტორიის კათედრაზე (2000-2006). ბუბა კუდავა იყო ისტორიის ფაკულტეტის დეკანი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე (2005), ასოცირებული პროფესორი (2006-2012). იგი კითხულობდა ლექციებს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში (2003-2005).

ბუბა კუდავა მუშაობდა ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დირექტორის მოადგილედ (2006), ხოლო დირექტორად - 2006-2015 წლებში. იგი 2015 წლიდან ლექციებს კითხულობს კავკასიის

უნივერსიტეტში (2017 წლიდან - სრული პროფესორი) და მუშაობს ისტორიის პედაგოგად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში.

ბუბა კუდავა არის სამხრეთ კავკასიისა და ანატოლიის კვლევის ცენტრის დამფუძნებელი და წევრი (2003 წლიდან), ტაო-კლარჯეთში ცენტრის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო ექსპედიციების მონაწილე და ხელმძღვანელი (2003-2018). იგი იყო საისტორიო ჟურნალ „არტანუჯის“ დამფუძნებელი და რედაქტორ-გამომცემელი (1993-2002). მან დააფუძნა გამომცემლობა „არტანუჯი“ (2000, დირექტორი 2006 წლამდე).

ბუბა კუდავამ 2003 წელს დაიცვა დისერტაცია თემაზე: „დასავლეთ საქართველოს ეკლესია (IX-XI სს.)“. მთავარი სამეცნიერო ინტერესებია: შუა საუკუნეების საქართველოს ისტორია, ტაო-კლარჯეთის რეგიონი, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ისტორიული გეოგრაფია, ქართული საისტორიო და კულტურული მემკვიდრეობა საზღვარგარეთ, ქართული ეპიგრაფიკა.

Buba Kudava

Buba Kudava is a Doctor of History. He was born in Tbilisi in 1972. Kudava graduated from the Faculty of History of Tbilisi State University in 1995 and worked at this University in the Research Centre for the History of Georgian State and Public Diplomacy (1994 - 2006) and at the Department of the History of Georgia (2000 - 2006). He was the Dean of the Faculty of History, Deputy Dean of the Faculty of Humanities (2005), Associate Professor (2006 - 2012). Kudava delivered lectures at Tbilisi Theological Academy and Seminary (2003 - 2005). He worked as a Deputy-Director of the National Centre for Manuscripts (2006) and as its director (2006-2015).

Since 2015, Kudava has been working at the Caucasus University and from 2107, he is Full Professor at this University. He also works as a teacher of History at a public school.
Buba Kudava is a founder and a member of the Research Centre for the South Caucasus and Anatolia (since 2003), also participant and leader of scientific Tao-Klarjeti expeditions organised by the Centre (2003 - 2018). Kudava was a founder, editor and publisher of the Historical Journal 'Artanuji' (1993 - 2002). He is also the founder of the publishing house 'Artanuji' (2000, and the director till 2006).

In 2003, Kudava defended his PhD dissertation on 'The Church of Western Georgia (IX - XI cc.)'. Kudava's main scholarly research interests are: the History of Georgia of the Middle Ages, the Tao-Klarjeti region, the history of the Georgian Church, historical geography, Georgian historical and cultural heritage abroad, Georgian epigraphics.

თეზისი

ტაო-კლარჯეთი - ისტორიისა და კულტურის ძეგლები
(გეომონაცემთა ბაზა და კატალოგი)

ტაო-კლარჯეთი დღეს დამკვიდრებული პირობითი ტერმინია, რომელიც აღნიშნავს ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს - მესხეთის უმთავრეს, თურქეთის საზღვრებში მოქცეულ ნაწილს. რეგიონში არაერთი ძველი პროვინციაა: ტაო, კლარჯეთი, შავშეთი, კოლა, არტაანი, ერუშეთი, ჩრდილი, სპერი, ბასიანი. მასში შედის აგრეთვე ისტორიული სამცხის, ჯავახეთის, აჭარისა და ლაზეთის ნაწილები.

XVI საუკუნიდან მთელი მესხეთი ოსმალეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა. XIX საუკუნეში გარკვეული პროვინციები რუსეთის იმპერიამ მიიერთა. საქართველოსა და თურქეთს შორის თანამედროვე საზღვარი 1921 წლის მდგომარეობის შესაბამისია. მსოფლიო ომებისა და სხვა რთული პოლიტიკური პროცესების გამო ტაო-კლარჯეთის რეგიონის კვლევას დიდი სირთულეები და ხანგრძლივი პაუზები ახასიათებდა. მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა ბოლო 2-3 ათწლეულის მანძილზე, როცა მოსაზღვრე სახელმწიფოში ქართველ სპეციალისტთა სამეცნიერო ექსპედიციების მოწყობის საშუალება გაჩნდა.

ტაო-კლარჯეთი გამორჩეული მხარეა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა სიმრავლისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით. სრულიად განსაკუთრებულია აქაური ეკლესია-მონასტრების, ციხე-სიმაგრეების, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრების როლი ქართული კულტურის,

საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ისტორიაში. ტაო-კლარჯეთის კულტურული მემკვიდრეობის კვლევა აქტუალურია იმის გათვალისწინებითაც, რომ რეგიონის ძეგლების უმეტესი ნაწილი უკანასკნელ დრომდე არ ყოფილა აღწერილი, აღნუსხული და ხშირ შემთხვევაში გამოვლენილიც კი.

ამ უმდიდრესი მემკვიდრეობის აღრიცხვის, სისტემატიზებისა და კლასიფიცირების მიზნით, 2014-2016 წლებში, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით, განხორციელდა პროექტი, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა მონაცემთა ბაზა და გამოიცა კატალოგი.

ორენოვან (ქართულ-ინგლისურ) ონლაინბაზაში ტაო-კლარჯეთის ძეგლები შემდეგი კატეგორიების მიხედვით არის წარმოდგენილი: ეკლესიები, მონასტრები, საფორტიფიკაციო ნაგებობები (ციხე, კოშკი), სხვა ძეგლები (სასახლე, მეჩეთი, ხიდი, აბანო, გამოქვაბული, სასაფლაო, სამეურნეო ნაგებობა..), ცალკეული არტეფაქტები (სტელა, საეკლესიო ნივთი, მონეტა...). მოცემულია, აგრეთვე მონაცემები პუნქტების, ნასახლარების, ეპიგრაფიკული ძეგლების, ტაო-კლარჯეთთან დაკავშირებული ხელნაწერებისა და ისტორიული დოკუმენტების, ისტორიული მოვლენებისა და ისტორიული პირების შესახებ. მონაცემთა ონლაინბაზიდან ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია, როგორც საძიებო სისტემის, ისე, ვებრუკის მეშვეობით.

პროექტის ფარგლებში გამოცემული კატალოგი ელექტრონული ბაზის ერთგვარი ბეჭდური ვერსიაა. ბაზასა და კატალოგს ერთვის ტაო-კლარჯეთის რეგიონთან დაკავშირებული საისტორიო, ხელოვნებათმცოდნეობითი, ეთნოლოგიური, ფილოლოგიური თუ სხვა სახის შრომათა მეტნაკლებად სრული ბიბლიოგრაფია. მონაცემთა ბაზა და კატალოგი თავს უყრის XIX-XX საუკუნეებისა და თანამედროვე კვლევების შედეგებს, ასახავს რეგიონის შესწავლის დღევანდელ მდგომარეობას. უკვე საშუალება გვეძლევა წარმოვიდგინოთ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მეტნაკლებად მიახლოებითი რაოდენობა, მოვახდინოთ მათი კლასიფიცირება, გავიგოთ ძეგლთა ზუსტი კოორდინატები.

პროექტი შესაძლებლობას გვაძლევს დავაკვირდეთ ეკლესია-მონასტრების მშენებლობათა ისტორიას, გეოგრაფიას, ინტენსივობას, ქრონოლოგიას. თავდაცვითი ნაგებობების მდებარეობა და სიხშირე წარმოდგენას გვიქმნის რეგიონის პოლიტიკური ცხოვრების, პროვინციების სამხედრო-სტრატეგიული პოტენციალის, ისტორიული გზების შესახებ.

პროექტის ერთ-ერთი შედეგი ტაო-კლარჯეთის დასახლებული პუნქტების ძველი და თანამედროვე სახელების ერთიანი ბაზის შექმნაა. ამ მონაცემებს რეგიონით დაინტერესებულთათვის დიდი პრაქტიკული დანიშნულება აქვს, რადგან გასულ საუკუნეში თითქმის ყველა პუნქტს ძველი სახელწოდებები გადაარქვეს, რაც კვლევისას თუ ისტორიული ადგილების მონახულებისას გარკვეულ სირთულეებს ქმნიდა. მონაცემთა ბაზა და კატალოგი დიდ დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს მომავალი სამუშაოების დაგეგმვასა და კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრაში. შექმნილი პროდუქცია გამოადგებათ ტაო-კლარჯეთით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას, იქაური ძეგლების მონახულების მსურველ ტურისტებს.

Abstract

Historical and Cultural Monuments of Tao-Klarjeti
(The geo-data base and the catalogue)

Tao-Klarejti is a well-established term designating the main part of Meskheti, historical South-Western Georgia, which is now within the borders of Turkey. There are a number of ancient provinces in this region: Tao, Klarjeti, Shavsheti, Kola, Artaani, Chrdili, Speri, and Basiani. It also included part of historical Samtskhe, Javakheti, Adjara and Lazeti.

From the end of the 16th century Meskheti became part of the Ottoman Empire and in the 19th century certain provinces were joined to the Russian Empire. The current border between Georgia and Turkey corresponds to the 1921 situation. Due to the world wars and difficult political processes, the research conducted in Tao-Klarejti was characterised by a number of challenges and lengthy pauses. The situation changed radically during the past 2- 3 decades, when it became possible to organise scholarly expeditions in the neighbouring country with

Georgian specialists taking part in them.

Tao-Klarjeti is a outstanding region in terms of the abundance and significance of historical and cultural monuments. The role of the churches and monasteries, fortresses, political and administrative centres is particularly overwhelming concerning the history of Georgian culture, the State and the Church. The research of Tao-Klarjeti cultural heredity is topical based on the fact that the majority of the monuments of the region have only recently been described, recorded and, in many cases, even identified for the first time.

In order to record, systematise and classify this richest of heritages the project was carried out in 2014 - 2016 supported by the Shota Rustaveli Georgian National Science Foundation. Within the framework of the project, a database was created and a catalogue was published.

In a bilingual (Georgian - English) online base, the monuments of Tao-Klarjeti are presented according to the following categories: churches, monasteries, fortification buildings (fortresses, towers), other monuments (palaces, mosques, bridges, baths, caves, and ancillary buildings) and individual artefacts (a stela, a church object, and a coin). As well as this, data about settlements, ruined dwellings, epigraphic monuments, manuscripts and historical documents, historical events and people are also provided. Information from the online base may be retrieved by means of the web-map as well as through a search system. The catalogue published within the framework of the project is a printed version of an electronic database.

The more or less complete bibliography of works concerning history, art, ethnology, philology and other works is added to the base and the catalogue. The database and the catalogue involve the results of the research conducted in the 19th - 20th centuries as well as in a contemporary period. It enables us to imagine an approximate number of historical and cultural monuments, classify them and identify their precise coordinates. The project enables us to observe the history, geography, intensiveness and chronology of churches and monasteries. The number and location of defensive buildings provide data concerning the political life of the region, military and strategic potential as well as the data about historical routes.

One of the results of the project is the creation of the united base of old and contemporary names of the settlements located in Tao-Klarejti. These data play a major practical role for the people interested in the region as almost all the settlements were re-named in the last century, which created certain problems whilst visiting historical places, and conducting research.

The database and the catalogue will help the specialists plan future work and determine research priorities. The product will be useful to the broad circles of people and tourists who wish to visit the monuments located in the region.

თეიმურაზ ხუციშვილი

თეიმურაზ ხუციშვილმა 1978 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა - მათემატიკის ფაკულტეტი მათემატიკოსის სპეციალობით.

თეიმურაზ ხუციშვილი 1978-1989 წლებში მუშაობდა ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მათემატიკურ განყოფილებაში მათემატიკოსის, უმცროსი მეცნიერ-თანამშრომლისა და, შემდგომ, მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობებზე. მან ამავე ინსტიტუტში, 1988 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სამშენებლო კონსტრუქციებში მათემატიკის გამოყენების თემატიკაში. თეიმურაზ ხუციშვილი 1989 - 2008 წლებში მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის კომპიუტერული მეცნიერებების კათედრაზე დოცენტის, შემდგომ, კი - პროფესორის თანამდებობაზე. იგი კითხულობდა ლექციებს გამოყენებითი მათემატიკისა და ეკონომეტრიკის საგნებში; პარალელურად ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტზე იგი კითხულობდა ლექციებს ტურისტიკაში. თეიმურაზ ხუციშვილი 2008 წლიდან კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორია, კითხულობს ლექციებს მათემატიკაში. პარალელურად, 2010-2016 წლებში იგი იყო კავკასიის უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის აკადემიური პროგრამების დირექტორი, კითხულობდა ლექციებს ტურისტიკაში. თეიმურაზ ხუციშვილი 2008 წლიდან დღემდე ტურიზმის განვითარების ცენტრის „ნიუკასის" მიწვეული

ლექტორია. იგი 2014 წლიდან დღემდე საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი, გამგეობის წევრია; 2016 წლიდან დღემდე კავკასიის უნივერსიტეტის სამეცნიერო - კვლევითი დეპარტამენტის დირექტორია.

თეიმურაზ ხუციშვილს გამოცემული აქვს რამდენიმე სახელმძღვანელო და მონოგრაფია ტურისტიკისა და საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის სფეროში. მისი ავტორობითა და თანაავტორობით დაბეჭდილია 50-ზე მეტი სამეცნიერო სტატია თუ ნაშრომი ინჟინერინგის, გამოყენებითი მათემატიკის, ტურისტიკისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე. მან მონაწილეობა მიიღო რამდენიმე სამეცნიერო კონფერენციაში, რომლებიც ეძღვნებოდა საქართველოს კულტურული რესურსებისა და თურქეთში მდებარე ისტორიული საქართველოს ტაო-კლარჯეთის კულტურის ძეგლების თემატიკას.

თეიმურაზ ხუციშვილი 2013 – 2016 წლებში იყო სამეცნიერო ხელმძღვანელი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის პროექტისა (N 57/04): „თურქეთში მდებარე საქართველოს ისტორიული მხარეების ტაო-კლარჯეთისა და კოლა-არტანის ქართული მატერიალური კულტურის ძეგლების კატალოგი".

Teimuraz Khutsishvili

In 1978 Mr. Khutsishvili graduated from Tbilisi State University – Department of Mathematics with specialization in Mathematics.

In 1978-1989, Mr. Khutsishvili worked at the Departments of Mathematics of Scientific-Research Institute of Energetics and Hydro-technical Constructions as a Mathematician and later as a scientist. In 1988 he defended a Candidate's thesis in Mathematics of Building Constructions. In 1989-2008, Mr. Teimuraz Khutsishvili worked at the faculty of Computer Sciences at Georgian Technical University; he delivered lectures in applied mathematics and econometrics; at the same time he ran lectures in Tourism at the Humanitarian-Technical Faculty of the same University. Since 2008 Dr. Khutsishvili has been a professor at Caucasus Uniiversity conducting classes in Mathematics. In 2010-2016 he was the Academic Programs Director at Caucasus School of Tourism running classes in Tourism.

Since 2008 Mr. Khutsishvili has been an invited lecturer at the Tourism Development Center Newkaz.
Since 2014 Mr. Khutsishvili is a chief scientific officer at Georgian Culture and Tourist Resources and a board member.

Since 2016 Mr. Khutsishvili has been the head of the Scientific-Research Department of the Caucasus University. He is the author of a few textbooks and a monograph in Tourism and Historical Geography of Georgia. He is either the author or a co-author of more than 50 scientific articles and works in engineering, applied mathematics, tourism and historical Geography.

He is a participant of a few scientific conferences dedicated to the cultural resources of Georgia and Georgian cultural monuments currently located in Turkey.

In 2013-2016 Mr. Khutsishvili was the Principal Investigator of the Project funded by Shota Rustaveli National Science Foundation (Project 57/04): "Catalogue of Georgian Monuments of Material Cultural of Georgian Regions of Tao-Klarjeti Currently Located in Turkey."

თეზისი

ტაო-კლარჯეთის 2014 – 2017 წლების სამეცნიერო ექსპედიციების მნიშვნელოვანი მიკვლევები

თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს ქართული არქიტექტურის ჩვენთვის ცნობილი ასობით ძეგლი, რომლებიც განლაგებულია ისტორიული საქართველოს მხარეების ტერიტორიაზე. დღეს, ისტორიული საქართველოს ეს მხარეები, პირობითად, გაერთიანებულია ტაო-კლარჯეთის სახელწოდების ქვეშ.

ამ ძეგლების მოძიება და შესწავლა XIX საუკუნის 50-იანი წლებიდან სხვადასხვა ინტენსიურობით ხდებოდა ქართველი, ევროპელი, რუსი და ამერიკელი მკვლევრების მიერ. 1990-იანი წლებიდან ქართველი მკვლევრების მიერ ტაო-კლარჯეთის ძეგლების მოძიება და კვლევა ინტენსიური გახდა, ამის მიუხედავად, ჩვენ მიერ ბოლო წლების განმავლობაში განხორციელებული ექსპედიციების შედეგებმა დაგვანახა, რომ თურქეთში მრავლადაა ნაშთები დაუფიქსირებელი კულტურის ძეგლებისა.

ბოლო წლებში, ამ მიმართულებით, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით რამდენიმე ჯგუფის მიერ ინტენსიური სამუშაოები განხორციელდა. მათ შორის იყო 2014-2017 წლებში „კავკასიის უნივერსიტეტისა" და „საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის" მიერ გაწეული საექსპედიციო - საკვლევი სამუშაოებიც. საკვლევი სამუშაოები ჩატარდა ისტორიული ტაო-კლარჯეთის 1 000-ზე მეტ სოფელში და მათ შემოგარენში. ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის მეთოდოლოგიამ, რომელიც ტერიტორიის ინტენსიურ შესწავლას გულისხმობს, საშუალება მოგვცა გამოგვევლინა ასობით უცნობი კულტურის ძეგლი, რომელთა გარკვეულ ნაწილს მნიშვნელოვანი ღირებულება გააჩნია კულტურისათვის. ტაო-კლარჯეთში აღნუსხულ კულტურის ძეგლთა ჯამურმა რაოდენობამ 1 200-ს გადააჭარბა.

წარმოდგენილია ჩვენ მიერ განხორციელებული ექსპედიციებისას მიკვლეულ იმ კულტურის ძეგლთა ნაწილი, რომლებიც სამეცნიერო მიმოქცევაში არ ყოფილა და რომელთაც გამორჩეული ღირებულება გააჩნიათ.

სამცხე: ორღართისა და შუარტყალის მონასტრები (მოხსენიებულია XIII ს-ის ჰაგიოგრაფიულ წყაროში); ღვიმეს ლაპიდარული წარწერა (დედოფალ ნისიმეს ხსენებით); წურწყაბის საეპისკოპოსო ტაძრის ლაპიდარული წარწერა.

ჯავახეთი: ფუჩხულეთის ურარტული წარწერის მდებარეობის დაზუსტება (ძვ.წ.აღ. VIII ს-ის ლურსმული დამწერლობა, დიაოხის მოხსენიებით); ჩიხირეთის ეკლესიის სტელა.

არტანი და ფოსო: კუნძულუტის ლაპიდარული წარწერა; რევახისის მეგალითური ნაგებობა და ბებერის მეგალითური ნაგებობობათა კომპლექსი (ქვის მშრალი წყობის მასშტაბური კომპლექსები).

შავშეთი: სვეტის ციხე (მოხსენიებულია ისტორიულ წყაროებში).

კლარჯეთი: ჯუღოს ციხე (მასშტაბური ციხე, არტანუჯის ციხე-ქალაქის თავზე); კლარჯეთის (სოფ.) ასომთავრული წარწერა; ოპიზის მონასტრის შემოგარენში მიკვლეული 10-ზე მეტი მცირე ეკლესია; სულოხანისა და ხერთვისის მიწისქვეშა ნაგებობათა კომპლექსები; შატბერდის მონასტრის ორნამენტიანი ქვა; ხანძთის მონასტერთან დაფიქსირებული ციხე, მიწისქვეშა ნაგებობათა კომპლექსი და 7 წარწერის ფრაგმენტი.

ამიერ ტაო: ბანას ტაძრის ასომთავრული წარწერა; ვაჩეძორის მონასტრის განძთსაცავი და 4 ხელნაწერის ფრაგმენტი.

იმიერ ტაო: მერენესის ტაძარი და ასომთავრულწარწერიანი ქვა (აშოტ II კურაპალატის გარდაცვალების თარიღის შესახებ); ქარგლუხის კომპლექსი (ეკლესია და მღვიმეები, მოხსენიებულია ისტორიულ წყაროში); ემკისორის ასომთავრული წარწერა; ოშკის მონასტერთან მდებარე ციხე და მცირე ეკლესიები; ხახულის მონასტრის სკრიპტორიუმი ან სატრაპეზო, ხახულის ციხე და მონასტრის მიმდებარედ დაფიქსირებული მცირე ეკლესიები.

Abstract

Important Findings of 2014-2017 Scientific Expedition in Tao-Klarjeti

Historic parts of Georgia nowadays within the modern territory of Turkey - Tao, Klarjeti, Kola-Artaani, Speri, Lazeti, Javakheti and a part of Samtskhe abound with monuments of Georgian architecture known to us. Currently, these historic parts of Georgia are known under one conditionally given name - Tao-Klarjeti.

These monuments have been traced and explored since the 1950s by Georgian, European, Russian and American explorers and scholars. Since the 1990s, i.e. after Georgia restored its independence, the explorations have gained a new momentum; nevertheless, the expeditions carried out by us in the recent years have corroborated that there are still many more unexplored monuments of Georgian cultural heritage.

In recent years, a few groups funded by Shota Rustaveli National Science Foundation carried out intense explorations in the region one of which was an expedition carried out by the Caucasus University and the Research Center for Georgian Culture and Tourist Resources. Explorations were carried out in more than 1000 villages and their surroundings of historic Tao-Klarjeti. The methodology used by us allowed exploring hundreds of monuments of culture invaluable for Georgian cultural heritage. The number of historic monuments listed in Tao-Klarjeti region exceeds 1,200. A part of the cultural monuments discovered by us during the expeditions not known in scientific literature before but having a significant value have been presented.

Samtskhe: Monasteries of Orgharti and Shuartkali (mentioned in a hagiographic source of the 13th century); lapidary cave inscription (mentioning Queen Nisime); Lapidary inscription of Tsurtskabi Episcopal Church.

Javakheti: ascertaining the location of Urartuian inscription in Purchkhuleti (cuneiform writing of the 8th century BC, mentioning Siaoch); Chikhireti church stela.

Artani and Poso: Kundzuluti lapidary inscription; Reevakhisi megalithic structure and Beberi megalithic structure complex (dry stone large complexes).

Shavsheti: Sveti Castle (mentioned in historic sources);

Klarjeti: Jugho Castle (a large castle above the Artanuji city-fortress); Klarjeti (village) Asomtavruli script inscription; more than 10 small churches found in the surroundings of Opiza monastery; underground structure complexes of Sulokhani and Khertvisi; Shatberdi Monasteri two-meter high stone; a fortress near Kantsta Monasteri, a complex of underground structures and fragments of seven inscriptions.

Hither Tao: Asomtavruli inscription of Bana Monastery; treasury of Vachedzori Monastery and four fragments of handwriting.

Thither Tao: Merenesi Monastery and a stone with Asomtavruli handwriting (mentioning the death of Ashot Kurapalates); Karglukhi Complex (a church and caves, mentioned in historic sources); Eshkisori Asomtavruli script inscription; a castle near Oshki Monasteri and small churches; Khakhuli Monastery scriptorium or a refectory; Kakhuli castle and small churches on the territory adjoining the monastery.



ლილი ხეჩუაშვილი

ლილი ხეჩუაშვილმა ფსიქოლოგიის დოქტორის ხარისხი 2009 წელს მიიღო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 2016 წლიდან თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორია.

ლილი ხეჩუაშვილი 2008-2015 წლებში მიღებული აქვს კვლევითი და აკადემიური სტიპენდიები აიოვას (აშშ), ტარტუს (ესტონეთი) და დასავლეთ ვაშინგტონის (აშშ) უნივერსიტეტებში. იგი არის ღია საზოგადოების ინსტიტუტის ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევისა და ტრენინგის ინიციატივის უფროსი მკვლევარის კვლევითი გრანტის სტიპენდიანტი; შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ელექტრონული ლექსიკონის გრანტის თანამიმღები; ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს კვლევითი გრანტის მკვლევარი; ფულბრაიტის კვლევითი გრანტის სტიპენდიანტი; შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევითი გრანტის მფლობელი.

ლილი ხეჩუაშვილი არის არაერთი სამეცნიერო საკონფერენციო ნაშრომის, ათზე მეტი სამეცნიერო სტატიის, ორი სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი; ასევე, არის კურსების: „პიროვნების ფსიქოლოგია“, „ადამიანის ცხოვრების კვლევა და ნარატივის ანალიზი“

და „ფსიქობიოგრაფიული კვლევები“ ავტორი.

ლილი ხეჩუაშვილის კვლევითი ინტერესები პოზიტიური და ნარატიული ფსიქოლოგიის სფეროში ძევს და მოიცავს ნარატიული იდენტობის სტაბილობა-ცვალებადობის საკითხებს პიროვნული და მასტერ ნარატივის დონეზე და პოსტტრავმული გამოცდილებებისა და მასთან ასოცირებული ცვლადების კვლევას.

Lili Khechuashvili

Lili Khechuashvili received her Ph.D in Psychology in 2009 from Iv. Javakhishvili Tbilisi State University. She is the faculty member and has being holding the position of associated professor since 2016 at the faculty of psychology and education sciences at TSU.

From 2008 to 2018 she was the recipient of various research and academic stipends and scholarships at the University of Iowa (USA), Tartu University (Estonia) and Western Washington University (USA). She was awarded with the grants and scholarships by Coimbra Group Hospitality Scheme research scholarship for young academics; the Central Asia and Caucasus Research and Training Initiative for senior researchers; Shota Rustaveli National Science Foundation for development of electronic dictionary for Social Sciences (co-grantee), Fulbright research scholarship. Currently she is Recipient of Yong Scientist Research Scholarship by Shota Rustaveli National Science Foundation.

She is the author of many conference papers, more than ten scientific articles, author and co-author of two textbooks. Besides, she has introduced in the TSU psychology curricula the courses in personality psychology, Study of human lives and narrative analysis and Studies in Psychobiography.

Her research interests are situated in positive psychology and narrative psychology domains and involves the issues of stability-variability of narrative identity on personal and master narrative level, and explorations in posttraumatic, transformative experiences and associated constructs.

თეზისი

მასტერ და ალტერნატიული ნარატივები: ქართული ვერსია

ნაშრომში გაერთიანებულია შერეული მეთოდოლოგიით წარმოებული ოთხი კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა მასტერ ნარატივთან მოლაპარაკებისა და ინტერნალიზაციის პროცესის აღწერას, რომელიც უზრუნველყოფს კულტურულ ჩარჩოს ნარატიული იდენტობის განვითარებისთვის; ასევე, განიხილება მასტერ ნარატივიდან გადახრის შემთხვევები და ალტერნატიული მასტერ ნარატივის განვითარების გზები. კვლევის კიდევ ერთ მიზანს წარმოადგენს ქართულ შერჩევებში მიღებული მონაცემების ნარატიული იდენტობის თეორიული მოდელისა და მაკლინისა და საიედის (2016) მიერ ცოტა ხნის წინ შემოთავაზებული მასტერ ნარატივის ფართო თეორიული ჩარჩოს კონტექსტში განხილვა. და ბოლოს, ნაშრომის მიზანია იმის ჩვენება, რომ ეს მოდელი, რომელიც ძირითად აქცენტს მე-სა და საზოგადოების ურთიერთქმედებასა და პიროვნული იდენტობის აგებისას კულტურის მხრიდან ინდივიდუალური აგენტობის შეზღუდვებზე აკეთებს, კულტურულად ინვარიანტულია; მიუხედავად ამერიკული წარმოშობისა, შესაძლებელია ამ მოდელის ამერიკულისგან ისეთი განსხვავებული კულტურისთვის და კონტექსტისთვის მორგება, როგორიც ქართულია.

დომინანტური მასტერ ნარატივისა და ზოგიერთი ალტერნატიული მასტერ ნარატივის საილუსტრაციოდ გაანალიზებულია ისეთი შერჩევებიდან მიღებული მონაცემები, როგორიცაა ნიუ იორკში (აშშ) მცხოვრები ქართველი ემიგრანტები (N=16), გეი და ლესბოსელი ადამიანები (N=16), ყოფილი პატიმრები (N=16) და საქართველოს სხვა მოქალაქეები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფიდან (სამი განსხვავებული შერჩევა, სულ N=300).

კვლევაში გამოყენებულ იქნა მაკადამსის ნახევრად სტრუქტურირებული ცხოვრების ისტორიის ინტერვიუს ოქმი. ჩაიწერა 78 ინტერვიუ, დაიწერა ტრანსკრიპტები, რომლებიც გაანალიზდა თვისებრივად და რაოდენობრივი ანალიზისთვის გადაკოდირდა ისეთი ცვლადების მიხედვით, როგორიცაა ნარატივის სტრუქტურა (სტრუქტურული მასტერ ნარატივი),

ავტობიოგრაფიული მსჯელობა და მოვლენათა ნორმატიულობა.

ანალიზის კონტექსტის შესაქმნელად ნაშრომში ჯერ განხილულია ქართული კულტურული სკრიპტი ანუ ავტობიოგრაფიული მასტერ ნარატივი (I კვლევა), შემდეგ წარმოდგენილია 936 ნარატივის შედარებითი თვისებრივი ანალიზი, რომლის მიზანია ქართველი ემიგრანტების (II კვლევა), გეი და ლესბოსელი ინდივიდებისა (III კვლევა) და ყოფილი პატიმრების (IV კვლევა) ალტერნატიული მასტერ ნარატივებს შორის მსგავსება-განსხვავებებისა და ავტობიოგრაფიულ მასტერ ნარატივთან მიმართების გამოვლენა.

თვისებრივმა ანალიზმა წარმოაჩინა ძირითადი თემატური ხაზები, როგორიცაა სტიგმატიზაცია და ვიქტიმიზაცია, ოჯახური ურთიერთობები, ბავშვობის მძიმე გამოცდილებები, გენერაციულობისკენ სწრაფვა, რესოციალიზაცია და იდენტობის ფორმირება. გარდა ამისა, ყველა შერჩევიდან მიღებული ნარატივების ერთი-მესამედის სტრუქტურა მაკომპენსირებელ თანმიმდევრობას შეესაბამება, რაც მკვეთრად განსხვავდება, მაგალითად, ამერიკელების მიერ წარმოდგენილი წყობისგან.

მონაცემთა ანალიზი აჩვენებს, რომ სამივე შერჩევის მონაწილეები თავიანთი ცხოვრების ისტორიას ანუ ნარატიულ იდენტობას კულტურაში არსებულ მასტერ ნარატივთან იმპლიციტური შედარებისა და მისგან განსხვავებული გზის ფორმირების მეშვეობით ქმნიან. ისინი ნორმატიულ ცხოვრებაში ანუ ავტობიოგრაფიული მასტერ ნარატივში ან მოვლენების თანმიმდევრობას ცვლიან თხრობისას, ან თავად მოვლენებს, ან მათ ინტერპრეტაციას.

Abstract

Master and Alternative Master Narratives: Georgian Version

The paper combines four mixed method studies aiming at exploration the process of negotiation with and internalization of the master narrative, the instances of deviations from it and development of alternative narratives. Another goal of the study is to situate data obtained from Georgian samples in broader context of narrative inquiry within narrative identity theoretical framework, and model of master narrative proposed by McLean and Syed (2016). Besides, it demonstrates that the master narrative model is culturally invariant: it can be used as framework for empirical studies of cultures, which differ from north American one that is the origin of the proposed model.

To illustrate master and alternative master narratives, it analyses and compares the data obtained from Georgian immigrants living in NYC (N=16), same-sex desire individuals (N=16), ex-convicts (N=16) and different age groups of ordinary Georgian (three different samples altogether N=300) citizens and traces the process of autobiographical reasoning as the mean for development alternative master narrative, which, in turn, serves as the avenue for overcoming stigma and coming in accord to one's own identity.

The McAdams semi-structured life story interview was employed for investigation that resulted in 78 interviews, which were tape-recorded, transcribed, analyzed qualitatively as well as coded for narrative structure (structural master narrative), autobiographical reasoning and normativity of events.
For setting up the stage for analysis, the short overview of autobiographical master narrative or Georgian life script (study 1), which is followed by comparative qualitative analysis of 936 stories aiming at revealing commonalities and differences in development of alternative master narratives of Georgian immigrants (study 2), same-sex desire individuals (study 3) and ex-convicts (study 4) as well as deviations from above mentioned autobiographical master narrative.

Qualitative analysis revealed the main thematic lines of the life stories, such as stigmatization and victimization, family relations, hard childhood experiences, urge for generativity, resocialization and identity formation. Further, One-third of narratives are structured with redemption sequence, and majority of narratives have neither redemption nor contamination structure, which dramatically differ, for instance, from the dominating redemption sequence of the narratives obtained in American samples. As data analysis shows, research participants from all three samples construct their life stories or narrative identities through bringing on the surface the implicit master narrative and creating their own alternative one via either shifting and replacing the events or modifying sequences of the events included in the normative life story or autobiographical master narrative.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტი:

მანანა მიქაბერიძე - ფონდის გენერალური დირექტორი

ნინო გაჩეჩილაძე - გენერალური დირექტორის მოადგილე, ოქსფორდის უნივერსიტეტისა და ფონდის "საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების" ერთობლივი პროგრამის კოორდინატორი

სოფიო უჩანეიშვილი - გენერალური დირექტორის მოადგილე

მარიამ ქებურია - საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსი

თეა მჟავანაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი

თამთა შკუბულიანი - საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის სპეციალისტი

გიორგი წოწორია - საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის სპეციალისტი

სალომე შარაშენიძე - სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის სპეციალისტი

თამარ ბოკუჩავა - საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

ლაშა ლიპარტელიანი - საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის სპეციალისტი

ვასილ ბარბაქაძე - ტექნოლოგიური განვითარებისა და საინფორმაციო უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

საკონტაქტო ინფორმაცია:
ქ. თბილისი, ალექსიძის 2, III სართ.
info@rustaveli.org.ge
ტელ. 2 200 220

#SRNSFG-OxfordUniGSPConf

www.rustaveli.org.ge

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

**კონფერენციის ჩატარების ადგილი - ქ. თბილისი,
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
(ლ. გუდიაშვილის ქ. 7)**

თბილისი
16 ივლისი, 2018